



SIGMA

Creating Change Together



A joint initiative of the OECD and the EU,
principally financed by the EU

2023 წლის გამოცემა

საჯარო მმართველობის პრინციპები

2023 წლის ნოემბერი



2023 წლის გამოცემა

საჯარო მმართველობის პრინციპები

საჯარო მმართველობის პრინციპები სტანდარტების დეტალურ ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს იმ ღირებულებებითა და ქცევის წესებით, რომელთა მოლოდინიც, შესაძლოა, ჰქონდეს ფართო საზოგადოებასა და კერძო სექტორს თანამედროვე საჯარო მმართველობისგან. მათი შემუშავების მიზანია მიმართულება მისცეს ევროკავშირის (EU) გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო პარტნიორი ქვეყნების მმართველობებს, როგორც რეფორმების განხორციელების, ისე საჯარო მმართველობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და გაწვევრიანებისთვის „ფუნდამენტურად მნიშვნელოვან ერთ-ერთ საკითხზე“ ევროკავშირის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულების პროცესში.

ევროკომისიის (EC) მოთხოვნის საფუძველზე პრინციპები შეიმუშავა SIGMA-მ (ევროკავშირისა (EU) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივა), რომელსაც, ძირითადად, ევროკავშირი აფინანსებს. პრინციპები ეყრდნობა ევროკავშირის არსებულ *კანონთა კრებულს*, OECD-ს სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საერთაშორისო სტანდარტებს, ისევე როგორც, ევროკავშირისა და OECD-ის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებს.



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით. იგი არ ასახავს ევროკავშირის, OECD-ს ან მისი წევრი ქვეყნების, ან SIGMA-ს პროგრამაში მონაწილე პარტნიორების ოფიციალურ შეხედულებებს. მასში გამოთქმული მოსაზრებები ან გამოყენებული არგუმენტები ეკუთვნით ავტორებს.

წინამდებარე ანგარიში წერილობითი პროცედურით დაამტკიცა OECD-ს საჯარო მმართველობის კომიტეტმა 2023 წლის 1 სექტემბერს.

წინამდებარე დოკუმენტი, ასევე მასში შეტანილი ნებისმიერი მონაცემები ან რუკა, არ ეხება რომელიმე ტერიტორიის სტატუსს ან სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრების დელიმიტაციას და ნებისმიერი ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის დასახელებას.

წინამდებარე ციფრული თუ ბეჭდური მასალის გამოყენებას არეგულირებს წესები და პირობები, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ OECD-ს ვებგვერდზე <http://www.oecd.org/termsandconditions>.

წინამდებარე გამოცემის ციტირება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

OECD (2023), *საჯარო მმართველობის პრინციპები*, OECD, პარიზი,

<https://www.sigmaweb.org/publications/Principles-of-Public-Administration-2023-edition-GEO.pdf>

ფოტო: გარეკანი © elettaria/Shutterstock.com

OECD (2023)

OECD/SIGMA - 2 Rue André Pascal 75775 Paris Cedex 16, France
+33 (0) 1 45 24 82 00 | sigmaweb@oecd.org | www.sigmaweb.org

სარჩევი

წინათქმა	3
შესავალი	7
სტრატეგია	15
პრინციპი 1: განსაზღვრულია და წარმატებით ხორციელდება საჯარო მმართველობის რეფორმის დეტალური, სანდო და მდგრადი დღის წესრიგი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებს და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს.	16
პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია	17
პრინციპი 2: საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები თანმიმდევრულია და მათ ეფექტურ კოორდინაციას უწყევს მთავრობის ადმინისტრაცია; გადაწყვეტილებების მომზადება და კომუნიკაცია ხორციელდება ცხადი და გამჭვირვალე წესით.	18
პრინციპი 3: მთავრობა ეფექტურად და ინკლუზიურად გეგმავს და მონიტორინგს უწყევს საჯარო პოლიტიკას, სახელმწიფო ფისკალური შესაძლებლობების შესაბამისად	19
პრინციპი 4: საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ხორციელდება მტკიცებულებებისა და ანალიზის საფუძველზე, კანონშემოქმედებითი საქმიანობის მკაფიო და თანმიმდევრული წესების დაცვით; კანონები და მარეგულირებელი ჩარჩოები მარტივად არის ხელმისაწვდომი.	20
პრინციპი 5: პოლიტიკის შემუშავების პროცესში აქტიური კონსულტაცია მიმდინარეობს ყველა ძირითად გარე და შიდა დაინტერესებულ მხარესთან და ფართო საზოგადოებასთან.	21
პრინციპი 6: საჯარო პოლიტიკის განხორციელების და შეფასების პროცესები ეფექტურად მიმდინარეობს, რაც აუმჯობესებს პოლიტიკის შედეგებს და ამცირებს რეგულირების ხარჯებს და ტვირთს.	22
პრინციპი 7: პარლამენტი ეფექტურად ახორციელებს მთავრობის მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესის კონტროლს და უზრუნველყოფს საერთო პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრულობას.	23
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	25
პრინციპი 8: დასაქმების ჩარჩო აბალანსებს სტაბილურობასა და მოქნილობას, უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების ანგარიშვალდებულებას და იცავს მათ არასათანადო გავლენისა და არამართლზომიერი გათავისუფლებისგან.	26
პრინციპი 9: საჯარო მმართველობა იზიდავს და სამსახურში იღებს კომპეტენტურ კადრებს დამსახურებისა და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე.	27
პრინციპი 10: ეფექტურ ლიდერობას ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებული უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების კომპეტენტურობა, სტაბილურობა, პროფესიული ავტონომია და რეაგირების უნარი.	28
პრინციპი 11: საჯარო მოსამსახურეები არიან მოტივირებულები, იღებენ სამართლიან და კონკურენტულ ანაზღაურებას და აქვთ კარგი სამუშაო პირობები.	29

პრინციპი 12: პროფესიული განვითარება, კვალიფიკაციისა და ეფექტიანობის მართვა აუმჯობესებს საჯარო მოსამსახურეთა უნარ-ჩვევებს, ეფექტიანობას, ეფექტურობას და ხელს უწყობს საჯარო სამსახურის ფასეულობების პოპულარიზაციას. 30

ორგანიზება, ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა 31

პრინციპი 13: საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობა და მართვა ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას, ეფექტურობასა და ეფექტიანობას. 32

პრინციპი 14: სუბსიდიარობისა და ადგილობრივი ავტონომიის პრინციპების გათვალისწინებით, პასუხისმგებლობები მკაფიოდაა გადანაწილებული ხელისუფლების დონეებს შორის, რაც ხელს უწყობს უწყებათშორის კოორდინაციას ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმებით. 33

პრინციპი 15: საჯარო მმართველობა გამჭვირვალე და ღიაა. 33

პრინციპი 16: პარლამენტი, ომბუდსმენი და უმაღლესი აუდიტორული ორგანო ეფექტურ ზედამხედველობას ახორციელებენ საჯარო მმართველობაზე. 34

პრინციპი 17: კარგი მმართველობის უფლება დაცულია ადმინისტრაციული პროცედურების, სასამართლო კონტროლისა და საზოგადოების წინაშე ვალდებულების გზით. 35

პრინციპი 18: საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სისტემა მინიმუმამდე ამცირებს კორუფციის რისკებს. 36

სერვისების მიწოდება და გაციფრულება 37

პრინციპი 19: ადმინისტრაციული სერვისების დიზაინი და მიწოდება ორიენტირებულია მომსახურების მიმღებზე. 38

პრინციპი 20: საჯარო მმართველობა აწვდის ოპტიმიზებულ და ხარისხიან სერვისებს. 38

პრინციპი 21: ადმინისტრაციული სერვისები მარტივად არის ხელმისაწვდომი ციფრულ და ფიზიკურ ფორმატში, განსხვავებული საჭიროებების, არჩევანისა და შეზღუდვების გათვალისწინებით. 39

პრინციპი 22: გაციფრულება მონაცემებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებებისა და ეფექტიანი, ეფექტური და რეაგირების უნარის მქონე პოლიტიკის, სერვისებისა და პროცესების შესაძლებლობას იძლევა მთლიანი მთავრობის მასშტაბით. 40

საჯარო ფინანსების მართვა 41

პრინციპი 23: წლიური ბიუჯეტი არის დეტალური, მომზადებულია სანდო და განახლებადი საშუალოვადიანი ჩარჩოს ფარგლებში და აბალანსებს პოლიტიკის საჭიროებებსა და ფისკალურ შეზღუდვებს. 42

პრინციპი 24: მთავრობა მხარს უჭერს ბიუჯეტის განხორციელებას და მომსახურების მიწოდებას მოკლე და საშუალო ვადაში ლიკვიდობის უზრუნველსაყოფის გზით. 43

პრინციპი 25: მთავრობა ბიუჯეტის შესრულებას ახორციელებს საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად და წარმოადგენს ანგარიშს დეტალური და გამჭვირვალე წესით, რაც დროული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. 44

პრინციპი 26: საჯარო მმართველობის ორგანოები ეფექტურად და შესაბამისად მართავენ რესურსებს დასახული მიზნების მისაღწევად. 45

პრინციპი 27: შიდა აუდიტი აუმჯობესებს საჯარო მმართველობის ორგანოების მართვას. 46

პრინციპი 28: სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობა და კონცესიები, ეფუძნება თანაბარი მოპყრობის, არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალეობის, პროპორციულობისა და კონკურენციის პრინციპებს, რომელსაც მხარს უჭერს გამართული მმართველობის ჩარჩოს. 47

პრინციპი 29: შემსყიდველი ორგანიზაციები ეფექტიანად და ეკონომიურად წარმართავენ სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციებს, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობებს. 48

პრინციპი 30: შესყიდვების განხილვის დამოუკიდებელი სისტემა უზრუნველყოფს საჩივრების ეფექტურ, სწრაფ და კომპეტენტურ განხილვას. 50

პრინციპი 31: სახელმწიფო სახსრების ეფექტური აუდიტორული შემოწმება ხორციელდება დამოუკიდებელი აუდიტორული ორგანოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს

მარწმუნებლობას საჯარო რესურსების გამოყენებაზე და ხელს უწყობს საჯარო სექტორის ფუნქციონირების გაუმჯობესებას.	51
პრინციპი 32: რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებები ფლობენ რესურსებს და ადეკვატურ ფისკალურ ავტონომიას ფისკალური ზედამხედველობის ქვეშ, რათა ხელი შეეწყოს პასუხისმგებელიან ფინანსურ მართვას.	52

შესავალი

საჯარო მმართველობის პრინციპების მიზანი და ორიენტირი

ევროკომისიის (EC) მოთხოვნის საფუძველზე SIGMA-მ (ევროკავშირისა (EU) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივა), რომელსაც, ძირითადად, ევროკავშირი აფინანსებს, შეიმუშავა საჯარო მმართველობის პრინციპები („პრინციპები“). პრინციპების შემუშავება მიზნად ისახავდა კარგი საჯარო მმართველობის ფასეულობებისა და სტანდარტების არტიკულაციას, რომლებმაც მიმართულება უნდა მისცეს ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო პარტნიორი ქვეყნების მმართველობებს, როგორც რეფორმების განხორციელების, ისე საჯარო მმართველობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში.

აღნიშნული პრინციპები სტანდარტების დეტალურ ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს იმ ღირებულებებითა და ქცევის წესებით, რომელთა მოლოდინიც შესაძლოა ჰქონდეს ფართო საზოგადოებასა და კერძო სექტორს თანამედროვე საჯარო მმართველობისგან. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საჯარო მმართველობის ორგანიზებისა და ფუნქციონირების ერთი საერთო მოდელი, შესაძლებელია ამ პრინციპების მონიტორინგის თანხლებ ჩარჩოსთან ერთად გამოყენება, საჯარო მმართველობის რეფორმების გზამკვლევისა და მისი შედეგების შეფასების ინსტრუმენტის სახით.

პრინციპები ეფუძნება ევროკავშირის არსებულ *კანონთა კრებულს*, OECD-ის რეკომენდაციებს, სხვა საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ევროკავშირისა და OECD-ის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას. პრინციპები ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი ქვეყნებისთვის მთავარი ჩარჩო დოკუმენტია, რომელიც უკეთესი საჯარო მმართველობის ჩამოყალიბების გზამკვლევს წარმოადგენს. ამ პრინციპების შესაბამის მონიტორინგს, სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, ეფუძნება ევროკომისიის (EC) ანალიზი, რათა დადგინდეს ქვეყნების შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან. პრინციპების ის მიმართულებები, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, შესაბამისობაშია ევროკავშირის *კანონთა კრებულთან*. თუ რომელიმე ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, უპირატესობა ევროკავშირის კანონმდებლობის ტექსტს მიენიჭება.

OECD-სთვის აღნიშნული პრინციპები წარმოადგენს OECD-ს კარგი საჯარო მმართველობის სტანდარტების გავრცელებისა და ორგანიზაციის საქმიანობით მიღებული ეფექტის გაზრდის ინსტრუმენტს იმ მმართველობებში, ვისთანაც SIGMA თანამშრომლობს. გაწევრიანების მსურველი სხვა ქვეყნებიდან, პოლიტიკოსებს და საჯარო მოხელეებს ასევე შეუძლიათ ამ ჩარჩოს, როგორც საჯარო მმართველობის სისტემების მუდმივი გაუმჯობესების ინსტრუმენტის და სახელმძღვანელოს გამოყენება. ეს დაეხმარება საჯარო მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერებაში, რომ შეიმუშაონ ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად უკეთესი პოლიტიკები, უზრუნველყონ ხარისხიანი და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისები, და ეფექტიანად მართონ საჯარო სახსრები. აღნიშნული ჩარჩოს გამოყენება ასევე შესაძლებელია, როგორც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის, ისე, საჯარო ინსტიტუტების მიმართ მოქალაქეთა ნდობის გასამყარებლად მიმართულ ძალისხმევაში.

კარგი საჯარო მმართველობის მნიშვნელობა ევროკავშირისა და OECD-თვის

ევროკავშირი და OECD აღიარებენ, რომ კარგი საჯარო მმართველობა გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორც მდგრადი განვითარების, ეკონომიკური ზრდის, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევაში, ისევე, საზოგადოებაში დღეს არსებული თუ სამომავლო მთავარი გამოწვევების გადაჭრაში. ამ ორ ორგანიზაციას საერთო ხედვა აქვთ კარგი საჯარო მმართველობის განსაზღვრელ ღირებულებებზე.

მზარდად კომპლექსურ კონტექსტში უკეთ ლავირებისა და საჯარო მმართველობის გასაუმჯობესებლად, OECD და ევროკავშირი დახმარებას უწევენ მთავრობებს პოლიტიკის დიალოგის, გამოცდილების გაცვლის, რეკომენდაციების მომზადების და შედარებითი ანალიზის განსახორციელებლად საჭირო საერთაშორისო მონაცემების ურთიერთგაცვლის პლატფორმის უზრუნველყოფით.

ევროკავშირში „კარგი მმართველობის“ ცნების განსაზღვრა ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ის ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის 41-ე მუხლშია¹ შესული. 1993 წელს (კოპენჰაგენი) და 1995 წელს (მადრიდი), ევროპულმა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირის კანონთა კრებულის ეფექტიანი დანერგვისა და წევრობით ნაკისრი ვალდებულებების აღების მიზნით საჭირო ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობები ევროკავშირში გაწევრიანების საკვანძო პირობებია.² 1999 წელს SIGMA-მ განსაზღვრა ევროპის საჯარო მმართველობის სივრცის ცნება.³

2014 წლის გაფართოების სტრატეგიაში⁴, ევროკომისიამ (EC) საჯარო მმართველობის რეფორმა განსაზღვრა, როგორც გაფართოების პროცესის ერთ-ერთი „ფუნდამენტური საკითხი“ და გამოყო ექვსი თემატური მიმართულება, რომლებზე დაფუძნებითაც პრინციპების სტრუქტურა შექმნა შემდგომში. 2020 წელს დამტკიცებული ევროკავშირის გაფართოების შესწორებული მეთოდოლოგია, გაწევრიანების მოლაპარაკებების ცენტრში „ფუნდამენტური საკითხების ჯგუფს“ აყენებს:

„სანდოობა უნდა გამყარდეს ევროკავშირში წარმატებულად გაწევრიანებისთვის აუცილებელ ფუნდამენტურ რეფორმებზე კიდევ უფრო მეტად ფოკუსირების გზით. ეს ფუნდამენტური საკითხები კიდევ უფრო ცენტრალურ ხასიათს მიიღებს გაწევრიანების მოლაპარაკებების პროცესში. ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დაიწყება ყველაზე ადრე და დასრულდება ყველაზე ბოლოს. ამ საკითხებზე მიღწეული პროგრესი განსაზღვრავს მოლაპარაკებების საერთო ტემპს“.⁵

¹ <https://fra.europa.eu/en/eu-charter/article/41-right-good-administration>.

² <https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/glossary/accession-criteria-copenhagen-criteria.html>.

³ OECD (1999), *საჯარო მმართველობის ევროპული პრინციპები*, SIGMA-ს დოკუმენტი No. 27, OECD-ს გამომცემლობა, პარიზი, <https://doi.org/10.1787/5kml60zwdw7h-en>. ევროპის საჯარო მმართველობის სივრცე მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: საიმედოობა, პროგნოზირებადობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ასევე ტექნიკური და მენეჯერული კვალიფიკაცია, ორგანიზაციული შესაძლებლობა, ფინანსური მდგრადობა და მოქალაქეთა მონაწილეობა.

⁴ COM(2014) 700 final, ევროკომისიის მიერ ევროპის პარლამენტის, ევროპული საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტისა და რეგიონული საკითხების კომიტეტისთვის მომზადებული კომუნიკაციის დოკუმენტი - გაფართოების სტრატეგია და ძირითადი გამოწვევები, 2014-15 წლები, https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2016-12/20141008-strategy-paper_en.pdf

⁵ COM(2020) 57 final, ევროკომისიის მიერ ევროპის პარლამენტის, ევროპული საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტისა და რეგიონული საკითხების კომიტეტისთვის მომზადებული კომუნიკაციის დოკუმენტი - გაწევრიანების პროცესის გაფართოება - ევროკავშირის სანდო პერსპექტივა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0057>.

აღნიშნული ფუნდამენტური საკითხები ეხება ძირითად სფეროთაშორის და ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს, რომლებშიც შედის კანონის უზენაესობა, კორუფციასთან ბრძოლა და ადამიანის უფლებები, ისევე როგორც, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება და საჯარო მმართველობის რეფორმა. ამ სფეროებში მოლაპარაკებები წარმართება, *მათ შორის*, გზამკვლევებზე დაყრდნობით; საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი მოლაპარაკებებში ჩართული ქვეყნებისთვის სავალდებულო შესაძარ ნიშნულს შორის იქნება.

2022 წლის ოქტომბერში, ევროკომისიამ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ საკუთარ კომუნიკაციის დოკუმენტში ყურადღება გაამახვილა საჯარო მმართველობის ძირითად დანიშნულებაზე - მოახდინოს სწრაფი რეაგირება ახლად წამოჭრილ გამოწვევებზე და იმოქმედოს მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ დოკუმენტში ასევე მიეთითა გაფართოების კანდიდატ ქვეყნებში არსებული ძირითადი ხარვეზები:

„საჯარო დაწესებულებები და მმართველობები უნდა ახდენდნენ სწრაფ რეაგირებას საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე და ეფექტურად ახორციელებდნენ პოლიტიკას. საჯარო მმართველობის მოდერნიზება ძირითად პრობლემურ საკითხად რჩება ევროკავშირის გაფართოების კანდიდატ ქვეყნებში. პოლიტიკა კვლავ ძირს უთხრის საჯარო მმართველობის შესაძლებლობებს და ამცირებს მისი როგორც დამსაქმებლის მიმზიდველობას. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ძირითადი რეფორმები უფრო პროფესიონალური და დამსახურებაზე დაფუძნებული მმართველობის შესაქმნელად, უფრო მეტი ლიდერობა და ძალისხმევა იქნება საჭირო პოლიტიკის დაგეგმვის, საჯარო ფინანსების, ადამიანური რესურსების მართვისა და ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად“.⁶

შესაბამისობის უფრო მაღალი ხარისხის მისაღწევად, ევროკომისიას თანხვედრაში მოჰყავს საკუთარი მიდგომა წევრ სახელმწიფოებთან და კანდიდატ ქვეყნებთან ხარისხიანი საჯარო მმართველობის მნიშვნელობაზე წარმოებულ დიალოგთან:

“კომისიის მიზანია საკუთარი პოლიტიკის მიდგომაში შესაბამისობის მაღალი ხარისხი მიღწევა, მათ შორის, გაწვევრიანების შემდეგ, ხარისხიანი საჯარო მმართველობის მნიშვნელობის ხაზგასმის გაგრძელება და საჯარო მმართველობის ხარისხის შესაფასებლად ეკვივალენტური შეფასების ჩარჩოს უზრუნველყოფა. ეს მიმართულია ისეთი სიტუაციის ასაცილებლად, როდესაც „რთულად მიღწეული“ რეფორმების პოზიტიური შედეგები, მაგალითად, პროფესიული და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რეფორმამდე არსებულ მდგომარეობას უბრუნდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა ევროკავშირის წევრი ხდება“.⁷

2022 წლის მარტში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საჯარო მმართველობაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა, კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება შემდეგ საჭიროებებზე: საჯარო სამსახური უნდა იყოს მიმზიდველი, თანამედროვე, ინოვაციური და სხვებისთვის სამაგალითო; გამჭვირვალე

⁶ COM(2022) 528 final, ევროკომისიის მიერ ევროპის პარლამენტის, ევროპული საბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტისა და რეგიონული საკითხების კომიტეტისთვის მოწოდებულ კომუნიკაციის დოკუმენტი, 2022 წლის კომუნიკაციის დოკუმენტი ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის შესახებ, 2014-15 წლები, p. 20, <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-10/2022%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy-v3.pdf>.

⁷ EU (2021), *საჯარო მმართველობის მხარდაჭერა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რეფორმების განხორციელებისა და მომავლისთვის მოსამზადებლად*, 2021 წლის 29 აპრილი, გვ 21, https://ec.europa.eu/info/departments/structural-reform-support/supporting-public-administrations-eu-member-states-deliver-reforms-and-prepare-future_en.

და მედეგი საჯარო სერვისები უნდა აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა მოლოდინებს; ხარისხიანი, ინკლუზიური და ციფრული საჯარო სერვისები პატივს უნდა სცემდეს ევროპულ ღირებულებებს.^{7F8}

2022 წლის ნოემბერში, მინისტრთა დონეზე საჯარო მმართველობის კომიტეტის შეხვედრაზე, OECD-ს წევრი ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება „განამტკიცონ, ხელი შეუწყონ და გააძლიერონ დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლები მოქალაქეთა მხრიდან ისეთი მზარდი და ცვალებადი მოლოდინების გათვალისწინებით, როგორებიცაა წარმომადგენლობა, სწრაფი რეაგირება, ღია მმართველობა, ინსტიტუტების კეთილსინდისიერება და საჯარო სექტორში ეკომეგობრული პოლიტიკის დანერგვა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით“ და „გააგრძელონ მუშაობა, რომ შექმნან პროფესიონალური, ეფექტური და ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტები და მოამზადონ მაღალი ეფექტურობის მქონე ხელმძღვანელობა და საჯარო მოხელეები უფრო ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოების მხარდასაჭერად“.

საჯარო მმართველობის პრინციპების განახლებული (2023 წლის) გამოცემის მომზადების საფუძვლები

საჯარო მმართველობის პრინციპების პირველი გამოცემა 2014 წელს გამოქვეყნდა. SIGMA-ს მიერ წინამდებარე შესწორებული გამოცემის შემუშავების მიზანი იყო: 1) ევროკავშირის, OECD-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების უახლესი სტანდარტებისა და პრაქტიკების შესაბამისად ჩარჩოს განახლება; და 2) საზოგადოების წინაშე დღეს არსებულ თუ სამომავლო გამოწვევებზე უკეთესი პასუხი, და სწრაფი რეაგირების უნარის მქონე და მედეგი საჯარო მმართველობის საჭიროების დაკმაყოფილება - პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და მოქალაქეების მოთხოვნებზე უკეთ რეაგირების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პრინციპები შემუშავდა „პოლიტიკისადმი ნეიტრალური“ მიდგომებით, რაც ამ პრინციპებით მომუშავე საჯარო მმართველობას შესაძლებლობას მისცემს უკეთ შეასრულოს მთავრობის პოლიტიკური პრიორიტეტები და მიაღწიოს ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით ან უსაფრთხოების მიზნებს.

2014 წელთან შედარებით, დღეს არსებული მოლოდინით საჯარო მმართველობა უფრო მეტად ციფრული, მოქნილი, ინოვაციური და ეკომეგობრული უნდა იყოს. ახალი გამოცემაში ასახულია, როგორც ციფრული პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობა და გლობალური COVID-19-ს პანდემიის დროს მიღებულ გაკვეთილები (საჯარო მმართველობის მოქნილობისა და მედეგობის გაძლიერება, და სამუშაო გეგმების მოქნილობა), ისე მოლოდინი, რომ საჯარო მმართველობა ხელს შეუწყობს ისეთ გარემოსდაცვით გამოწვევებთან გამკლავებას, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა.

წინამდებარე განახლებული გამოცემა თავს უყრის ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო პარტნიორი ქვეყნებისთვის დაწესებულ პრინციპებს, რაც კიდევ უფრო ცხადად და ლაკონიურად გამოხატავს კარგი საჯარო მმართველობის ევროკავშირისეულ ღირებულებებსა და სტანდარტებს. იქ სადაც ევროკავშირში გაწევრიანების სპეციალური სტანდარტები არსებობს, ისინი ცალკე არის გამოყოფილი. 2023 წლის პრინციპების მასშტაბი ასევე სცდება ცენტრალურ ხელისუფლებას და ვრცელდება რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების დონეებზეც, თანმიმდევრული პოლიტიკის მიდგომის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, შესწორებული გამოცემა ასახავს ევროკომისიისა (EC) და SIGMA-ს მიერ 2014 წლიდან, ეროვნულ მმართველობებთან

⁸ სტრასბურგის დეკლარაცია ევროპის საჯარო მმართველობებში გავრცელებული ღირებულებებისა და გამოწვევების შესახებ, (2022),

https://www.transformation.gouv.fr/files/presse/Declaration_common_values_challenges_european%20public_administrations_1.pdf.

⁹ ნდობის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიის განმტკიცების დეკლარაცია, (2022),

<https://legalinstruments.oecd.org/en/instruments/OECD-LEGAL-0484>.

პირდაპირი თანამშრომლობისა და მათი რეგულარული მონიტორინგის გზით მიღებულ გამოცდილებას და გაკვეთილებს.

განახლებული გამოცემა ორიენტირებულია კარგი საჯარო მმართველობის ღირებულებებზე, ისე, რომ არ იძლევა დირექტივებს, რადგან ევროკავშირსა და OECD-ს ქვეყნებს განსხვავებული პრაქტიკული მიდგომები აქვთ პრინციპებით გამოხატული საერთო ღირებულებებისა და სტანდარტების მისაღწევად. SIGMA-ს მისიაა ხელი შეუწყოს და განმარტოს ეს ღირებულებები და სტანდარტები და ევროკავშირისა და OECD-ს ქვეყნების შესაძლო მიდგომებისა და კარგი პრაქტიკის შესახებ რჩევების უზრუნველყოფით მხარი დაუჭიროს ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო პარტნიორი ქვეყნების მმართველობებს ამ ღირებულებების მიღწევაში.

ეროვნული საჯარო მმართველობის ევროკავშირისა და OECD-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ტემპი და მეთოდი ეროვნულმა მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ამ ქვეყნის კონტექსტის, ადმინისტრაციული ტრადიციებისა და მოქალაქეების მოლოდინების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით, ცვლილებების მართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეფორმების წარმატებისთვის. ცვლილება რეალისტურად უნდა დაიგეგმოს და ეფექტურად უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის პოლიტიკური ლიდერების ინფორმირება მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

საჯარო მმართველობის პრინციპების გამოყენების მასშტაბები

აღნიშნული პრინციპები შეძლებისდაგვარად უნივერსალურად უნდა გავრცელდეს საჯარო მმართველობის ყველა ორგანოზე. ეს ორგანოებია: მთავრობის ადმინისტრაცია, დარგობრივი სამინისტროები, სამთავრობო უწყებები, მარეგულირებელი ორგანოები და ცენტრალური ხელისუფლების სხვა დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ საჯარო მმართველობის შემდეგ ძირითად ფუნქციებს: პოლიტიკის შემუშავება და პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის ადმინისტრაციული სერვისების მიწოდება. კონკრეტული დაწესებულებებისთვის არსებული სპეციალური წესები უნდა იყოს შეზღუდული, დასაბუთებული და პროპორციული.

პრინციპები ვრცელდება სასამართლო სისტემაზე, პარლამენტსა და ისეთ დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოებზე, როგორცაა ომბუდსმენი ან სახელმწიფო აუდიტის სამსახური, მათი კონსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცვით და ამ ინსტიტუტების თავისებურებების გათვალისწინებით.

პრინციპები ასევე ვრცელდება ხელისუფლების სუბნაციონალურ (რეგიონულ და ადგილობრივ) დონეებზე. ორი სპეციალური პრინციპი (14 და 32) წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებთა გზამკვლევს სუბსიდიარობის, ფისკალური ავტონომიისა და მრავალდონიანი მმართველობის სხვა ძირითად სტრუქტურულ ასპექტებთან დაკავშირებით.

საჯარო მმართველობის პრინციპების სტრუქტურა: საჯარო მმართველობის 6 მიმართულება, 32 პრინციპი, 270 ქვეპრინციპი

საჯარო მმართველობის პრინციპების 2023 წლის გამოცემის სტრუქტურა ისევ შეესაბამება 2014 წლის გაფართოების სტრატეგიით განსაზღვრულ ექვს თემატურ მიმართულებას. პრინციპების შინაარსის უკეთ ასახვის მიზნით, მეოთხე თემატური მიმართულება, რომელსაც წინა გამოცემაში „ანგარიშვალდებულება“ ეწოდებოდა, ახლა განისაზღვრება, როგორც „ორგანიზება, ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა“. „მომსახურების გაწევას“ დაემატა „გაციფრულება“.

თემატური მიმართულებები	ძირითადი ფასეულობები
სტრატეგია	მთავრობა უზრუნველყოფს სტრატეგიულ ხედვასა და ხელმძღვანელობას მოქნილი, ინოვაციური და მუდმივად გაუმჯობესებადი საჯარო მმართველობისთვის, რომელიც სწრაფად რეაგირებს ახალ გამოწვევებზე.
პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია	მთავრობა უზრუნველყოფს პოლიტიკის დოკუმენტებისა და ბიუჯეტების ჰარმონიზებას, ეფექტურ დაგეგმვას, მთლიანი მთავრობის მასშტაბით კოორდინირებას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. სამინისტროები, ღია და მონაწილეობითი პროცესის ფარგლებში, ქმნიან თანმიმდევრულ საჯარო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება მყარ მტკიცებულებებსა და ანალიზს.
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	საჯარო მოხელეები მოქმედებენ პროფესიონალურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად. მათი სამსახურში მიღება და დაწინაურება ხორციელდება დამსახურებისა და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე და ისინი ფლობენ შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციებს საკუთარი უფლება-მოვალეობების ეფექტური შესრულებისთვის.
ორგანიზება, ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა	საჯარო მმართველობა ორგანიზაციული მოწყობა ეფექტიანი და ეფექტურია ხელისუფლების ყველა დონეზე. საჯარო მმართველობის ორგანოები არიან ღია და გამჭვირვალე და იყენებენ მკაფიოდ განსაზღვრულ შიდა და გარე ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. ძლიერი საზედამხედველო ორგანოები იცავენ მოქალაქეთა უფლებებს და საზოგადოებრივ ინტერესებს.
სერვისების მიწოდება და გაციფრულება	საჯარო მმართველობა ორიენტირებულია მომსახურების მიმღებზე და ელექტრონულ თუ ფიზიკურ ფორმატში ყველა ადამიანსა და ორგანიზაციას აწვდის ხარისხიან და მარტივად ხელმისაწვდომ სერვისებს. გაციფრულება უზრუნველყოფს მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას, პროცესების ეფექტურობასა და ეფექტიანობას, ისევე როგორც, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სერვისების მიწოდებას.
საჯარო ფინანსების მართვა	საჯარო მმართველობა გეგმავს და მართავს საჯარო ფინანსებს, რათა უზრუნველყოს ფინანსების მდგრადობა და გამჭვირვალობა და შექმნას პოლიტიკის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. კონტროლის, შესყიდვებისა და ზედამხედველობის წესები შექმნილია საჯარო რესურსების ეკონომიური, ეფექტიანი და ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ნაწილდება ხელისუფლების ყველა დონეზე.

32 პრინციპი განსაზღვრავს ღირებულებებს, ქცევების წესებსა და შედეგებს, ხოლო **270 ქვეპრინციპი** იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს, თუ როგორ შეიძლება ამ შედეგების მიღწევა და სათანადო ადმინისტრაციული შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

შემდეგი წინაპირობები გადაწყვეტია თითოეულ პრინციპში მითითებული ღირებულებების ეფექტური განხორციელებისთვის. ისინი ასახულია მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტის დონეზე თითოეულ პრინციპში გამოვლენის ნაცვლად.

- სათანადო საკანონმდებლო ბაზა (კანონები და კანონქვემდებარე აქტები)
- ინსტიტუციური და ორგანიზაციული წყობა მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობებით, ასევე ადეკვატური შესაძლებლობების მქონე პასუხისმგებელი ინსტიტუტები
- სათანადო უნარ-ჩვევების მქონე შესაფერისი ადამიანური რესურსები, რომლებსაც მხარს უჭერს კარგი ხელმძღვანელობა
- ორიენტაცია მოქალაქეებისა და კერძო სექტორისთვის შედეგებზე მიმართულია
- მთავრობის გადაწყვეტილებები ემყარება სანდო მტკიცებულებებსა და მონაცემებს
- ეფექტიანობის სისტემატური მონიტორინგი და შეფასება სწავლისა და უკუკავშირის წრიული ციკლის შესაკრავად
- ორგანიზაციული კულტურა, რომელსაც შეთვისებული აქვს სასურველი ღირებულებები და ქცევის წესები
- ცვლილების მართვა

მონიტორინგის ჩარჩო

მონიტორინგის ჩარჩო პრინციპებსა და ქვეპრინციპებს ავსებს კრიტერიუმებისა და ეფექტიანობის შესადარი ნიშნულების განსაზღვრის, კრიტერიუმებისთვის წონის მინიჭებისა და შესაბამისი ინდიკატორებისა და ქვეინდიკატორების დადგენის გზით. კრიტერიუმებით იზომება წარმატებული რეფორმების ხელშემწყობი ასპექტები და ზემოხსენებული წინაპირობები, რეფორმების რეალური განხორციელება (რამდენად ეფექტიანია მმართველობა პრაქტიკაში), მიღებული შედეგები და ეფექტები (რა ეფექტი მოახდინა მან საზოგადოებაზე). ინდიკატორების მნიშვნელობები გვიჩვენებს საჯარო მმართველობის შესაბამისი კომპონენტების განვითარების დონეს, თითოეული პრინციპისთვის 0-დან (ყველაზე დაბალი) 100-მდე (უმაღლესი) საერთო მნიშვნელობის განსაზღვრის გზით.

საერთო მიდგომით აღიარებულია, რომ გაზომვის არცერთ ცალკე აღებულ მეთოდს არ შეუძლია ორგანიზაციულ ცვლილებასთან და სოციალურ ქცევის ცვლილებებთან დაკავშირებული რთული საკითხების სრულად ასახვა. დაბალანსებული შეფასებისთვის საჭიროა ადმინისტრაციული მონაცემებიდან, გამოკითხვებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან, გასაუბრებების შედეგებიდან და სხვა წყაროებიდან რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება და ამ ინფორმაციის ჯვარედინი გადამოწმება. ამრიგად, ინდიკატორები ეყრდნობა სხვადასხვა მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ქვეინდიკატორების კომბინაციას.

საჯარო მმართველობის 6 მიმართულების და 32 პრინციპის მიმოხილვა

პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

- ცენტრალური ხელისუფლება;
- პოლიტიკის დაგეგმვა;
- გავლენის შეფასება;
- კონსულტაცია;
- პოლიტიკის დანერგვა და შეფასება;
- საპარლამენტო ზედამხედველობა

სტრატეგია და საჯარო მმართველობის მუდმივი გაუმჯობესება

საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

- შრომითი ურთიერთობების ჩარჩო;
- სამსახურში აყვანა;
- უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები;
- მოტივაცია და სამუშაო პირობები;
- პროფესიული განვითარება

მომსახურების გაწევა და გაციფრულება

- მომსახურების მიმღებზე ორიენტირებული მიდგომა;
- ოპტიმიზებული, ხარისხიანი სერვისები;
- ხელმისაწვდომობა;
- გაციფრულება

საჯარო ფინანსების მართვა

- ბიუჯეტის მომზადება;
- ბიუჯეტზე ანგარიშგება;
- ბიუჯეტის შესრულება;
- შიდა აუდიტი;
- შიდა კონტროლი;
- შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა;
- შესყიდვების ოპერაციები;
- შესყიდვების მიმოხილვა;
- გარე აუდიტი;
- ფისკალური ავტონომია

ორგანიზება, ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა

- აღმინისტრაციული პროცედურა და სასამართლო კონტროლი;
- საზოგადოებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება
- სუბსიდიარობა და ღიაობა;
- გამჭვირვალობა და ღიაობა;
- გარე ზედამხედველობა;
- საზოგადოებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება



სტრატეგია

მთავრობა უზრუნველყოფს სტრატეგიულ **ხედვასა და ხელმძღვანელობას** მოქნილი, ინოვაციური და მუდმივად გაუმჯობესებადი საჯარო მმართველობისთვის, რომელიც სწრაფად რეაგირებს ახალ გამოწვევებზე

პრინციპი 1: განსაზღვრულია და წარმატებით ხორციელდება საჯარო მმართველობის რეფორმის დეტალური, სანდო და მდგრადი დღის წესრიგი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციებს და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესს.

- a. საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) აღიარებულია, როგორც პოლიტიკური პრიორიტეტი და აისახება შესაბამის პოლიტიკურ დღის წესრიგში.
- b. საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) დეტალური დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრულია სპეციალური დაგეგმვის დოკუმენტებით, ეხება რეფორმის ყველა სფეროს და ხელს უწყობს საჯარო მმართველობის მუდმივ გაუმჯობესებას, მოქნილობას და სწრაფი რეაგირების უნარს ახლად წარმოქმნილ ეროვნულ და გლობალურ პრიორიტეტებსა და გამოწვევებზე.
- c. საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) კოორდინირებულია პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ დონეებზე; გამოყოფილია საკმარისი რესურსები და ეფექტიანად მიმდინარეობს დაგეგმილი რეფორმები და რეფორმების მონიტორინგი.
- d. ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ხორციელდება რეგულარული კონსულტაცია და ისინი ჩართულები არიან საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესში; ეფექტურად ხორციელდება საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კარგი საჯარო მმართველობის სარგებლის პოპულარიზაცია.
- e. საჯარო მმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ და საჯარო მმართველობის მთლიან სისტემას უზიარებენ ინოვაციურ გადაწყვეტილებებსა და მიდგომებს.



პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

მთავრობა უზრუნველყოფს პოლიტიკის დოკუმენტებისა და ბიუჯეტების ჰარმონიზებას, ეფექტურ დაგეგმვას, მთლიანი მთავრობის მასშტაბით კოორდინირებას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. სამინისტროები, ღია და მონაწილეობითი პროცესის ფარგლებში, ქმნიან თანმიმდევრულ საჯარო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება მყარ მტკიცებულებებსა და ანალიზს.

პრინციპი 2: საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები თანმიმდევრულია და მათ ეფექტურ კოორდინაციას უწყევს მთავრობის ადმინისტრაცია; გადაწყვეტილებების მომზადება და კომუნიკაცია ხორციელდება ცხადი და გამჭვირვალე წესით.

- a. მთავრობის ადმინისტრაცია¹⁰ ხელს უწყობს და ახალისებს პოლიტიკის კოორდინაციას სამინისტროებსა და შესაბამის ინსტიტუტებში პოლიტიკის ზოგადი თანმიმდევრულობისა და უკეთესი და უფრო მდგრადი პოლიტიკის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.
- b. მთავრობის ადმინისტრაციაში შემავალი დაწესებულებები და მათი შიდა სტრუქტურული ერთეულები აქტიურად აწარმოებენ კოორდინაციას და თანამშრომლობას პოლიტიკის კარგი შედეგების უზრუნველსაყოფად.
- c. მთავრობის გადაწყვეტილებები მზადდება, მტკიცდება და შემდგომი ღონისძიებები ხორციელდება გამჭვირვალედ, ეფექტურად და დროულად, მკაფიო წესებისა და პროცედურების საფუძველზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურების, მათ შორის მთავრობის სხდომების საშუალებით.
- d. მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი დაწესებულება თანმიმდევრულად განიხილავს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ ყველა საკითხს, დადგენილ წესებთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის შესამოწმებლად.
- e. მთავრობის როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის ცენტრალური კოორდინაცია ხელს უწყობს ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგის განხორციელებას და ანეიტრალურს როგორც არასწორ ინფორმაციას, ასევე დეზინფორმაციას.
- f. ეფექტური და მოქნილი პროცედურები და მექანიზმები უზრუნველყოფს კრიზისულ სიტუაციებში მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების უწყვეტად მიღებას და გარე რისკების მართვას; მთავრობა იყენებს სტრატეგიულ პროგნოზირებას სამომავლო სცენარების წინასწარი განჭვრეტისა და ამ სცენარებისთვის მოსამზადებლად.

ქვეპრინციპი, რომელიც ეხება მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებსა და პოტენციურ კანდიდატებს

- g. მთავრობა ადგენს და ახორციელებს მკაფიო ჰორიზონტალურ პროცედურებს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის (EI) პროცესების მართვისთვის, რის კოორდინაციასაც ახორციელებს მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანო. ნათლად არის გაწერილი ევროპული ინტეგრაციის, (EI) მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობის გადმოტანის პროცესში ჩართული ყველა შესაბამისი დაწესებულების როლი და უფლებამოსილებები.

¹⁰ მთავრობის ადმინისტრაცია (CoG): ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც ექვემდებარება აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრეზიდენტს ან პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტს ერთად). სხვადასხვა ქვეყანაში მთავრობის ადმინისტრაციას სხვადასხვა სახელი აქვს, მათ შორის გენერალური სამდივნო, კაბინეტის აპარატი, პრეზიდენტის აპარატი/სამინისტრო, მინისტრთა საბჭოს აპარატი და სხვ. ხშირ შემთხვევაში, მთავრობის ადმინისტრაცია ერთზე მეტი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულისგან შედგება.

პრინციპი 3: მთავრობა ეფექტურად და ინკლუზიურად გეგმავს და მონიტორინგს უწევს საჯარო პოლიტიკას, სახელმწიფოს ფისკალური შესაძლებლობების შესაბამისად

- a. ჩამოყალიბებულია პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჰარმონიზებული და თანმიმდევრული სისტემა, მკაფიო პროცედურებითა და ძირითადი ინსტიტუციური პასუხისმგებლობებით.
- b. სამთავრობო პროგრამაში ან სხვა მსგავს პოლიტიკურ განაცხადებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური პრიორიტეტები და დღის წესრიგი ეფექტურად იგეგმება და ხორციელდება პოლიტიკის დაგეგმვის შესაბამისი დოკუმენტების საშუალებით.
- c. პოლიტიკისა და ფინანსური დაგეგმვის დოკუმენტები თანმიმდევრული და ურთიერთშესაბამისია პოლიტიკის პრიორიტეტების, ამოცანებისა და აქტივობების თვალსაზრისით.
- d. პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტები აკმაყოფილებს ხარისხის მოთხოვნებს და შეიცავს ადეკვატურ ანალიზს და ინფორმაციას, მათ შორის პოლიტიკის ამოცანებს, ინდიკატორებს თავისი მიზნობრივი მაჩვენებლებით და მონიტორინგის ჩარჩოს. ისინი შემუშავებულია მონაწილეობითი მიდგომით და ხელმისაწვდომია საჯაროდ.
- e. პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტები მოიცავს ფინანსური დანახარჯების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლებიც შეესაბამება საშუალოვადიან და წლიურ ბიუჯეტებს, და ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომია შეუფერხებელი და სრული განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- f. რეგულარულად ხორციელდება შესრულებისა და შედეგების, მათ შორის პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და შედეგების ინდიკატორების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშგება; მონიტორინგის ანგარიშები ქვეყნდება დროულად საზოგადოებრივი განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.
- g. პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესში დაწესებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპებით, ისევე როგორც, ხარისხის უზრუნველყოფისა და მეთოდური მხარდაჭერით.

ქვეპრინციპები, რომლებიც ეხება მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს და პოტენციურ კანდიდატებს

- h. ევროინტეგრაციის (EI) დაგეგმვის პროცესი სრულად არის ინტეგრირებული სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის საერთო სისტემებში. ევროინტეგრაციის გეგმები თანმიმდევრულია და შეესაბამება მთავრობის დაგეგმვის სხვა დოკუმენტებს.
- i. მთავრობა ეფექტურად ახორციელებს ევროინტეგრაციის გეგმებს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების პრიორიტეტულობისა და ფინანსური დანახარჯების განსაზღვრის გზით, საჯარო მმართველობის ხელთ არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პრინციპი 4: საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ხორციელდება მტკიცებულებებისა და ანალიზის საფუძველზე, კანონშემოქმედებითი საქმიანობის მკაფიო და თანმიმდევრული წესების დაცვით; კანონები და მარეგულირებელი ჩარჩოები მარტივად არის ხელმისაწვდომი.

- a. უკეთესი რეგულირების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების ხელშესაწყობად მთავრობის ერთიანი პოლიტიკა ჩამოყალიბებულია და გამოიყენება პოლიტიკების შემუშავებისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დროს.
- b. სამინისტროებს აქვთ მკაფიო შიდა წესები და პროცედურები პოლიტიკის შემუშავებისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვისა და ეფექტური მართვისთვის.
- c. რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტი(ები), დანერგილია და სისტემატურად გამოიყენება პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერის, კონსულტაციების ხელშეწყობისა და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის პოლიტიკის, კანონების, კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტების შემუშავების ყველა ძირითად ეტაპზე; მათ შორის, გარემოსა და კლიმატზე ზემოქმედება, საჭიროების შემთხვევაში.
- d. პოლიტიკის შემუშავებისას სისტემატურად განიხილება და ანალიზდება არამარეგულირებელი ხასიათის ალტერნატივები, რეგულირების გამარტივების შესაძლებლობები და მონიტორინგისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმები.
- e. სისტემატურად ხორციელდება შემოთავაზებული პოლიტიკის ყველა შესაძლო ზეგავლენის ანალიზი; გონივრული ძალისხმევა მიმართულია ძირითადი ზეგავლენების, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისთვის გამოწვეული დამატებითი ხარჯების რაოდენობრივი და მონეტარული მაჩვენებლების გამოსათვლელად.
- f. შერჩეული ანალიტიკური მიდგომები და პოლიტიკის ალტერნატივების ანალიზის დონე განსახილველი საკითხის სირთულისა და მოსალოდნელი ზეგავლენების მასშტაბების პროპორციულია.
- g. რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ზედამხედველობის, ხარისხის კონტროლის, მხარდაჭერისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიმწოდებელი ფუნქციები უზრუნველყოფს არსებული წესებისა და მეთოდოლოგიების სრულ და თანმიმდევრულ განხორციელებას, ამდლებს პოლიტიკის ანალიზის ხარისხს, აძლიერებს შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს სისტემის მუდმივ გაუმჯობესებას.
- h. კანონები და მარეგულირებელი წესები მკაფიო, ლოგიკური და თანმიმდევრულია თავისი შინაარსით, სტრუქტურით, სტილითა და გამოყენებული ენით.
- i. ყველა კანონი და კანონქვემდებარე აქტი, მათ შორის კონსოლიდირებული ვერსიები, ადვილად და უფასოდ ხელმისაწვდომია ცენტრალური ონლაინ მონაცემთა ბაზა(ებ)ის მეშვეობით. ადმინისტრაციული სახელმძღვანელო დოკუმენტები, ფორმები და მასალები, რომლებიც აუცილებელია მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობის მისაღწევად, ადვილად ხელმისაწვდომია ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის.
- j. მთავრობის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დონეები თანამშრომლობენ და აქტიურ კოორდინაციას ეწევიან რეგულირების თანმიმდევრულობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების უზრუნველსაყოფად მთლიანი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში.

ქვეპრინციპები, რომლებიც ეხება მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს და პოტენციურ კანდიდატებს

- k. ევროკავშირის კანონთა კრებულის გადატანა და სამართლებრივი ჰარმონიზაცია წარმოადგენს პოლიტიკის შემუშავების საერთო პროცესის განუყოფელ ნაწილს. ევროკავშირის ცალკეული კანონის ტრანსპოზიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღება რეგულირების

ზეგავლენის შეფასებისა (RIA) და საჯარო კონსულტაციების გზით მოპოვებული მტკიცებულებებისა და ანალიზის საფუძველზე.

1. სპეციალური წესები, პროცედურები და ინსტრუმენტები, როგორცაა ევროკავშირის შესაბამისობის ცხრილები და ევროკავშირის კანონმდებლობის ეროვნულ ენაზე (ენებზე) თარგმანები, უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის ეფექტურ სამართლებრივ ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონთა კრებულთან და მინიმუმამდე ამცირებს გადაჭარბებული რეგულირების რისკს.

პრინციპი 5: პოლიტიკის შემუშავების პროცესში აქტიური კონსულტაცია მიმდინარეობს ყველა ძირითად გარე და შიდა დაინტერესებულ მხარესთან და ფართო საზოგადოებასთან.

- a. პროცედურები დანერგილია, თანმიმდევრულად გამოიყენება და ექვემდებარება მონიტორინგს, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროაქტიული და ეფექტური საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და ფართო საზოგადოებასთან. ეს საშუალებას აძლევს კერძო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და მისი ინფორმირების პროცესში.
- b. ფართო საზოგადოებასთან კონსულტაციები მიმდინარეობს ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე ფორმით.
- c. სამინისტროები აწარმოებენ კონსტრუქციულ დიალოგს ძირითად გარე დაინტერესებულ მხარეებთან, და აგროვებენ, აანალიზებენ და იყენებენ ყველა მოწოდებულ პასუხებს პოლიტიკის პროექტის ჩამოყალიბებისას. ისინი გამჭვირვალედ აწარმოებენ ანგარიშგებას საჯარო კონსულტაციების პროცესის შედეგებზე, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორი გავლენა მოახდინა და როგორ აისახა პოლიტიკაში კონსულტაციების პროცესში მონაწილე პირთა შეხედულებები.
- d. სამინისტროებს შორის კონსულტაციები ტარდება ცხადად ჩამოყალიბებული წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს პოლიტიკისა და მისი შედეგების ეფექტურ განხილვას.
- e. უწყებათაშორისი კონსულტაციების შედეგების შესახებ ინფორმაციას წამყვანი სამინისტრო მთავრობის სხდომებზე წარსადგენი დოკუმენტაციის ფარგლებში წარმოადგენს.
- f. სამინისტროებს შორის სადაო საკითხების მოგვარების მექანიზმები გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემადგენელი ნაწილია როგორც ადმინისტრაციულ, ისე პოლიტიკურ დონეზე. ეს მექანიზმები სრულად იყენებს საჯარო მმართველობის გამოცდილებას, რომ ოპტიმალურად გადაიჭრას სადავო საკითხები, სანამ ისინი მთავრობას განსახილველად გადაეცემა.

პრინციპი 6: საჯარო პოლიტიკის განხორციელების და შეფასების პროცესები ეფექტურად მიმდინარეობს, რაც აუმჯობესებს პოლიტიკის შედეგებს და ამცირებს რეგულირების ხარჯებს და ტვირთს.

- a. კანონებისა და პოლიტიკების ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი ღონისძიებები, როგორებიცაა კანონქვემდებარე აქტების მიღება და სხვა საკანონმდებლო ჩარჩოებთან ჰარმონიზაცია, სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება, მათზე ინფორმირება და შესაძლებლობების განვითარება, პოლიტიკის სრულად ძალაში შესვლამდე ხორციელდება.
- b. კერძო სექტორი და მოქალაქეები წინასწარ შეტყობინებას იღებენ წესებსა და რეგულაციებში იმ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რომლებიც მათზე გავლენას მოახდენენ; გავლენის ქვეშ მოხვედრილ ჯგუფებს საკმარისი დრო ეძლევათ, რომ განახორციელონ საჭირო ცვლილებები და შესაბამისობაში მოვიდნენ ახალ მარეგულირებელ ჩარჩოსთან.
- c. პასუხისმგებელი ინსტიტუტები ეფექტურად ახორციელებენ პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს და უზრუნველყოფენ მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობას, როგორც მყარი და სათანადო მონაცემების, ისე ზეგავლენის ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან პირდაპირი უკუკავშირით და კონსულტაციებით შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე.
- d. ძირითადი კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების *პოსტ ფაქტუმ (Ex post)* შეფასება რეგულირების უკეთესი დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილია და დაკავშირებულია პოლიტიკის შემუშავების დროს ჩატარებულ ანალიზთან. საჯარო მმართველობა ასაჯაროებს და სამომავლო პოლიტიკის საფუძველად იყენებს შეფასების შედეგებს.
- e. მარეგულირებელი წესები რეგულარულად ექვემდებარება გადახედვას, რომ რეგულირება მუდმივად იყოს შესაბამისი, განახლებული და ხელს უწყობდეს საჯარო პოლიტიკას რეგულირების არასაჭირო ტვირთის შემცირებასა და გამარტივებაში.
- f. შემოწმებები ტარდება რისკის ანალიზის და პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. ისინი იგეგმება და ხორციელდება კოორდინირებული და გამჭვირვალე წესით, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ტვირთი, გაიზარდოს შესაბამისობა და უზრუნველყოფილი იყოს საჯარო რესურსების ეფექტური გამოყენება.
- g. არსებულ მარეგულირებელ ჩარჩოებთან შესაბამისობის ხელშეწყობა ხდება ინფორმაციის, სახელმძღვანელო პრინციპების, საკონტროლო სიებისა და სხვა ინსტრუმენტების მიწოდებით. სააღსრულებო ღონისძიებები კონკრეტული რეგულირებადი სუბიექტების პროფილსა და ქცევას ითვალისწინებს.
- h. მთავრობა მონაწილეობს რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონულ თანამშრომლობაში, რათა გაუმჯობესდეს რეგულირების ხარისხი და თანმიმდევრულობა, გაიზარდოს შესაბამისობა და შესაძლებელი გახდეს პოლიტიკის უკეთესი და უფრო მდგრადი შედეგების მიღწევა.

პრინციპი 7: პარლამენტი ეფექტურად ახორციელებს მთავრობის მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესის კონტროლს და უზრუნველყოფს საერთო პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრულობას.

- a. პარლამენტი ეფექტურად ახორციელებს მთავრობის მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესის კონტროლს და ზედამხედველობას. პარლამენტი უზრუნველყოფს, რომ ძალაში შესული კანონმდებლობა ცხადი, ლაკონიური და გასაგებია.
- b. საპარლამენტო კომიტეტები განიხილავენ და დეტალურად სწავლობენ საკანონმდებლო ინიციატივებს მთავრობის მინისტრებისა და ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი საჯარო მოხელეების აქტიური მონაწილეობით, უზრუნველყოფენ კონსულტაციებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და, ამასთან, მინიმუმამდე ამცირებენ არასათანადო გარე გავლენას.
- c. მთავრობა საკუთარი საკანონმდებლო სამუშაო გეგმის მჭიდრო კოორდინაციას აწარმოებს პარლამენტთან და რეგულარულად უზიარებს ინფორმაციას ახალი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.
- d. პარლამენტი უზრუნველყოფს ყველა საკანონმდებლო ინიციატივისთვის ეფექტურ დაგეგმვას და დროულ განხილვას.
- e. მთავრობა პარლამენტს უზიარებს ყველა პოლიტიკის დოკუმენტს და დამხმარე მასალას, როგორცაა რეგულირების ზეგავლენის შეფასება და საჯარო კონსულტაციების შედეგების შესახებ ანგარიშები. საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე მასალები ექვემდებარება გადახედვას, რომ საპარლამენტო დებატების დროს შეთანხმებული ნებისმიერი ძირითადი ცვლილება აისახოს.
- f. კანონების მიღების საგანგებო ან/და შემოკლებული პროცედურები არ გამოიყენება გადაჭარბებულად, რომ მომზადებისა და შემოწმებისთვის ადეკვატური დრო იყოს გამოყოფილი. ასეთი პროცედურების გამოყენების შემთხვევაში, მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების შესაბამისობისა და ეფექტურობის შესაფასებლად ამ კანონების განხილვა ხდება *პოსტ ფაქტუმ (Ex post)*, პირველივე შესაძლებლობისთანავე.
- g. მთავრობა განიხილავს და კომენტარებს უზრუნველყოფს პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებულ ყველა ახალ საკანონმდებლო წინადადებებზე, რათა გამოიკვეთოს პოლიტიკის შესაძლო არათანმიმდევრულობა და განხორციელების ისეთი რისკები, როგორცაა, მაგალითად, ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შექმნა.
- h. საპარლამენტო სამსახურები გასცემენ ექსპერტულ რჩევებს და მხარს უჭერენ პარლამენტის წევრებს მტკიცებულებებზე და ძირითადი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით მიღებულ კომენტარებზე დაფუძნებით ახალი კანონების ინიცირებასა და შემუშავებაში.
- i. პარლამენტი რეგულარულად განიხილავს ძირითადი კანონებისა და საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესებს, რომ შეაფასოს მათი ეფექტურობა და უზრუნველყოს მთავრობის მხრიდან ანგარიშვალდებულება.



საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა

საჯარო მოხელეები¹¹ მოქმედებენ პროფესიონალურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად. მათი სამსახურში მიღება და დაწინაურება ხორციელდება დამსახურებისა და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე და ისინი ფლობენ შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციებს საკუთარი უფლება-მოვალეობების ეფექტური შესრულებისთვის.

¹¹ პრინციპების გამოყენების მიზნებისთვის საჯარო მოხელეები ნიშნავს 1) სამინისტროებისა და უწყებების, მათ შორის მარეგულირებელი ორგანოების, 2) პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა საბჭოსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციების აპარატების/სამდივნოების, 3) პარლამენტის, აუდიტის უმაღლესი ორგანოს, ომბუდსმენის, სასამართლოებისა და სხვა დამოუკიდებელი ორგანოების; 4) სამხარეო და ადგილობრივი ადმინისტრაციების თანამშრომლებს. პრინციპები არ ვრცელდება არჩეულ და პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ თანამდებობის პირებზე, მოსამართლეებსა და პროკურორებზე. იგი ასევე არ ვრცელდება საჯარო მმართველობის ორგანოებში დასაქმებულ ტექნიკურ დამხმარე პერსონალზე (მაგალითად, მძღოლები და დამლაგებლები). ეროვნული კანონმდებლობა შესაძლოა ითვალისწინებდეს ზემოხსენებულ განმარტებასთან შედარებით უფრო ფართო დაფარვას.

პრინციპი 8: დასაქმების ჩარჩო აბალანსებს სტაბილურობასა და მოქნილობას, უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების ანგარიშვალდებულებას და იცავს მათ არასათანადო გავლენისა და არამართლზომიერი გათავისუფლებისგან.¹²

- a. მთავრობას აქვს ნათელი პოლიტიკა საჯარო სამსახურთან დაკავშირებით და ამ სფეროში განსაზღვრულია პოლიტიკური დონის პასუხისმგებლობა.
- b. საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს მკაფიო და ადეკვატურ არსებით, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფარგლებს.¹³
- c. საჯარო მოხელეებს ეკისრებათ ვალდებულება იმოქმედონ პროფესიონალურად და ნეიტრალურად, აქვთ უფლება უარი თქვან უკანონო მითითებების შესრულებაზე და დაცულები არიან პროფესიულ განსჯაში არასათანადო პოლიტიკური და სხვა სახის ჩარევისგან.
- d. საჯარო მოსამსახურეები ექვემდებარებიან ანგარიშვალდებულების, ეთიკის და დისციპლინურ ჩარჩოებს და პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ შემთხვევებში, როდესაც არასათანადო ქცევა დასტურდება სათანადო პროცედურით.
- e. საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება ან თანამდებობრივი დაქვეითება შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე და სათანადო პროცედურის გავლით, რაც ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.
- f. დასაბუთებულ შემთხვევებში, საჯარო მმართველობა გონივრული ვადით იყენებს დროებითი დასაქმების მიდგომას.
- g. საკმარისად უფლებამოსილი ცენტრალური ორგანო, ეფექტურად წარმართავს და კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის (HRM) სისტემას მთლიანი საჯარო სამსახურისთვის, უზრუნველყოფს მხარდაჭერას საჯარო მმართველობის ორგანოებისთვის და აწარმოებს განხორციელების მონიტორინგს.
- h. საჯარო მმართველობის ორგანოებს აქვთ საკმარისი შესაძლებლობები პროფესიონალური ადამიანური რესურსების მართვისათვის (HRM).
- i. ადამიანური რესურსების მართვის (HRM) პროცესებს მხარს უჭერს ეფექტური საინფორმაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის პოლიტიკისთვის.

¹² 8 c, d და e ქვეპრინციპები, სულ მცირე, უნდა გავრცელდეს ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციის იმ საჯარო მოსამსახურეებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და იმ მოვალეობების განხორციელების პროცესში, რომელთა მიზანია სახელმწიფოს საერთო ინტერესების დაცვა. ასეთი პოზიციებში, როგორც წესი, შედის: ხელმძღვანელები; კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეები; ინსპექტორები; უსაფრთხოების პერსონალი და დიპლომატები.

¹³ ვერტიკალური ფარგლებში მოიაზრება პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ პირებს, საჯარო მოსამსახურეებსა და ტექნიკურ დამხმარე პერსონალს შორის ზედა და ქვედა გამყოფი ხაზები. არსებითი ფარგლები ეხება საკითხებს, რომლებსაც არეგულირებს კანონი. ჰორიზონტალური ფარგლები ეხება იმ ორგანოებს, რომლებზეც ვრცელდება კანონი.

პრინციპი 9: საჯარო მმართველობა იზიდავს და სამსახურში იღებს კომპეტენტურ კადრებს დამსახურებისა და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე.

- a. საჯარო მმართველობა ანალიზებს ადამიანურ რესურსებს (HR), ამზადებს და ახორციელებს ბიუჯეტთან შესაბამის ადამიანურ რესურსების გეგმებს, რომ უზრუნველყოს შესაბამისი მოცულობის, პროფესიული კვალიფიკაციების, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე სამუშაო ძალა თავისი მისიის შესასრულებლად, როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი საჭიროებების გათვალისწინებით.
- b. საჯარო მოსამსახურეების სამსახურში მიღება ხდება გამჭვირვალე და ღია კონკურსის წესით, დამსახურების საფუძველზე.
- c. დასაქმების ინკლუზიური პოლიტიკა და პრაქტიკა მხარს უჭერს მრავალფეროვნებას და თანაბარ შესაძლებლობებს საჯარო მმართველობაში.
- d. საჯარო მმართველობა იზიდავს საკმარისი რაოდენობის კომპეტენტურ კანდიდატებს დამსაქმებლის ბრენდირების და დასაქმების სხვა ინსტრუმენტების გამოყენების გზით.
- e. სამსახურში მიღება ეფუძნება სამუშაოს ზუსტ აღწერილობას, რომელიც ეფექტური საქმიანობისთვის უზრუნველყოფს კანდიდატის საჭირო პროფილს (გამოცდილება, ცოდნა, უნარ-ჩვევები, კომპეტენციები), რაც ასახულია ვაკანსიის განცხადებებში, სამუშაო და სახელფასო პირობებთან ერთად.
- f. შესარჩევი კომისიები დაკომპლექტებულია ისეთი კვალიფიციური წევრებისგან, რომლებსაც შეუძლიათ კანდიდატების შეფასება სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისად, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პოლიტიკური გავლენის გარეშე.
- g. შერჩევის მეთოდები უზრუნველყოფს საქმიანობის შესასრულებლად საჭირო გამოცდილების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პროფესიული კვალიფიკაციების სამართლიან და მართებულ შეფასებას, და ხელს უწყობს ყველაზე შესაფერისი კანდიდატების შერჩევას.
- h. სამსახურში მიღებისა და შერჩევის პროცესები ეფექტიანი, დროული და მომხმარებელზე მორგებულია, რომელსაც მხარს უჭერს ციფრული ინსტრუმენტები.
- i. განმცხადებლები დროულად იღებენ ინფორმაციას სამსახურში მიღების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ და უფლება აქვთ მოითხოვონ დასაბუთება და გაასაჩივრონ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული და სასამართლოს წესით.
- j. ახალ თანამშრომელთა ორიენტაციის პროცესები უზრუნველყოფს სწრაფ ადაპტაციას მათ უშუალო საქმიანობასთან და ორგანიზაციასთან, რომ ახალი პერსონალი იყოს თავდაჯერებული, კომპეტენტური და ეფექტიანი.

პრინციპი 10: ეფექტურ ლიდერობას ხელს უწყობს ანგარიშგაღებულ უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების კომპეტენტურობა, სტაბილურობა, პროფესიული ავტონომია და რეაგირების უნარი.¹⁴

- a. კანონი განსაზღვრავს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებს, როგორც ცალკე კატეგორიას. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის ფარგლები ადეკვატურად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს, რომ სამინისტროებსა და უწყებებში მაღალი ხელმძღვანელი თანამდებობები არ განიხილებოდეს, როგორც პოლიტიკური თანამდებობები.
- b. უმაღლეს რგოლის ხელმძღვანელი პოზიციები მიმზიდველადაა ქცეული სამსახურში სამართლიანი მიღების, კონკურენტული ანაზღაურების, პროფესიული გამოწვევების, ავტონომიისა და კარიერული რისკების შემცირების გზით.
- c. სამსახურში მიღების პროცედურები ეფუძნება დამსახურებას და წარიმართება პროფესიონალურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ; ეს უზრუნველყოფს ისეთი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების შერჩევას და დანიშვნას, რომლებიც ფლობენ საკმარის მაღალი დონის ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ კვალიფიკაციებს, რაც შესაძლებლობას აძლევთ ჯეროვნად შეასრულონ განკუთვნილი საქმიანობა წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.
- d. დასაქმების პოლიტიკა და პრაქტიკა ხელს უწყობს თანაბარ შესაძლებლობებს, გენდერული ბალანსის დაცვას და დისკრიმინაციის თავიდან არიდებას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.
- e. საჯარო მმართველობების უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც შეესაბამება ორგანიზაციის მისიას და მთავრობის მიზნებს; მათ ეფექტიანობა რეგულარულად ფასდება.
- f. საჯარო მმართველობების უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებს აქვთ საკმარისი პროფესიული და ხელმძღვანელობითი ავტონომია, რაც შესაძლებლობას აძლევთ აიღონ პასუხისმგებლობა პერსონალის, რესურსებისა და საქმიანობის მართვაზე.
- g. საჯარო მმართველობის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები ავითარებენ საკუთარ უნარ-ჩვევებს საქმიანობის როგორც დღევანდელი, ისე სამომავლო საჭიროებების შესაბამისად.
- h. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის სტაბილურობა ხელს უწყობს ინსტიტუციური ეფექტიანობისა და მეხსიერების უწყვეტობას.

¹⁴ ტერმინი „უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები“ გულისხმობს საჯარო მმართველობის ორგანოებში პროფესიული ხელმძღვანელობის უმაღლეს საფეხურებს, სადაც ხელმძღვანელები უშუალო კომუნიკაციაში არიან პოლიტიკურ ლიდერთან. ეს ვრცელდება სამინისტროების უმაღლესი დონის საჯარო მოსამსახურეებზე (გენერალური მდივნები ან აღმასრულებელი თანამშემწეები), სამინისტროების დეპარტამენტების გენერალურ დირექტორებზე ან მსგავს თანამდებობებზე სამინისტროებში და სააგენტოების ხელმძღვანელებზე. ეს არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე (პრემიერ-მინისტრი, მინისტრი, მინისტრის მოადგილე, პოლიტიკური სახელმწიფო მდივანი და სხვ).

პრინციპი 11: საჯარო მოსამსახურეები არიან მოტივირებულები, იღებენ სამართლიან და კონკურენტულ ანაზღაურებას და აქვთ კარგი სამუშაო პირობები.

- a. საჯარო მმართველობა სთავაზობს ფინანსური და არაფინანსური ანაზღაურების კონკურენტულ პაკეტს: შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი, განვითარებისა და კარიერული შესაძლებლობები, სამუშაო ადგილის დაცულობა, პატივისცემა და ინკლუზიური სამუშაო გარემო, რომ მოიზიდოს, მოტივაციის აუმაღლოს და შეინარჩუნოს საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციების მქონე თანამშრომლები და გუნდები.
- b. საჯარო მმართველობა ხელს უწყობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას¹⁵, როგორც ცალკეულ დაწესებულებებში, ასევე საჯარო მმართველობის მთლიან სისტემაში, თანამდებობის კლასიფიკაციის მიხედვით მოხელეთა თანამდებობებისთვის თანამდებობრივი სარგებების საბაზისო ოდენობების განსაზღვრის გზით. მმართველობა აფუძნებს შედეგათებსა და სხვა სარგებელს კანონით დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმებზე და უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ მიდგომას შრომის ანაზღაურების პროცესში.
- c. სახელფასო სისტემა ფისკალურად ხელმისაწვდომია; სახელფასო ფონდის ცვლილება პროგნოზირებადია.
- d. სახელფასო სისტემა გამჭვირვალეა თანამშრომლებისა და საზოგადოებისთვის, ამასთან, უზრუნველყოფს სენსიტიური პერსონალური მონაცემების ჯეროვნად დაცვას.
- e. რანგების იერარქია და ანაზღაურების სტრუქტურა შრომის ანაზღაურების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.
- f. თუ ეფექტიანობასთან დაკავშირებული ანაზღაურების სისტემაა დანერგილი, იგი შეადგენს ხელფასის მხოლოდ შეზღუდულ განსაზღვრულ ნაწილს, ეფუძნება მკაფიო კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ინტერესებთან შესაბამის წახალისებას.
- g. საჯარო მმართველობა ზრუნავს დასაქმებულთა კეთილდღეობაზე, მათ შორის მათ უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობაზე, შრომით კმაყოფილებაზე და ჩართულობაზე. იგი რეგულარულად ახორციელებს პერსონალის კეთილდღეობის მონიტორინგს სამუშაო პირობების ოპტიმიზების მიზნით.
- h. საქმიანობის განხორციელების მოქნილი რეჟიმები ხელმისაწვდომია საჯარო მმართველობის თანამშრომლებისთვის (ფიზიკურად სამსახურში სიარული, დისტანციური მუშაობა, ნახევარი განაკვეთით მუშაობა, ჰიბრიდული მიდგომა და სხვ.) ორგანიზაციული იერარქიის ყველა დონეზე, რომ ხელი შეეწყოს პროდუქტიულობის ზრდას, პროფესიული და პირადი ცხოვრების დაბალანსებას და შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება.
- i. საჯარო მმართველობას სოციალურ დიალოგში ჩართული ჰყავს პროფკავშირები და დასაქმებულთა წარმომადგენლები.

¹⁵ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის დირექტივა 2006/54/EC, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას (შეცვლილი რედაქციით) <http://data.europa.eu/eli/dir/2006/54/oj>.

პრინციპი 12: პროფესიული განვითარება, მაღალკვალიფიციური კადრების და ეფექტიანობის მართვა აუმჯობესებს საჯარო მოსამსახურეთა უნარ-ჩვევებს, ეფექტიანობას, ეფექტურობას და ხელს უწყობს საჯარო სამსახურის ფასეულობების პოპულარიზაციას.

- a. საჯარო მოხელეებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები, რომ მართონ საკუთარი საქმიანობა ორგანიზაციის მისიისა და მიზნების შესაბამისად. საქმიანობის შესრულების შეფასება უზრუნველყოფს: უკუკავშირს საჯარო მოხელეებისთვის; ავლენს საქმიანობის ეფექტურ შემსრულებლებს, მაღალკვალიფიციურ კადრებს, განვითარების საჭიროებებს და არაეფექტურ საქმიანობაზე რეაგირების შესაძლებლობებს.
- b. საჯარო მმართველობა აქტიურად უწყობს ხელს საჯარო მოხელეების უწყვეტ სწავლას, ატარებს სწავლების საჭიროებების ანალიზს და ამზადებს სასწავლო გეგმებს.
- c. სასწავლო გეგმები ეფექტურად ხორციელდება და ფინანსდება ბიუჯეტიდან. სწავლისა და საქმიანობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და მიწოდებისას გათვალისწინებულია ორგანიზაციის არსებულ მდგომარეობა და მომავალი, მსმენელების და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭიროებები.
- d. საჯარო მმართველობა იყენებს საჯარო მოხელეთა ჰორიზონტალურ მობილობას ორგანიზაციული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაღალკვალიფიციური კადრების მართვისთვის, პროფესიული განვითარებისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.
- e. საჯარო მოხელეებს აქვთ კარიერული წინსვლისა და დაწინაურების შესაძლებლობები დამსახურებისა და საქმიანობის შესრულების ეფექტიანობის საფუძველზე.
- f. საჯარო სამსახურის კარიერული განვითარებისა და მობილობის პოლიტიკა და პრაქტიკა ხელს უწყობს მრავალფეროვნებას და ინკლუზიას.



ორგანიზება, ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა

საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობა **ეფექტიანი** და **ეფექტურია** ხელისუფლების ყველა დონეზე. საჯარო მმართველობის ორგანოები არიან **ღია** და **გამჭვირვალე** და იყენებენ მკაფიოდ განსაზღვრულ შიდა და გარე ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. ძლიერი საზედამხედველო ორგანოები იცავენ მოქალაქეთა უფლებებს და საზოგადოებრივ ინტერესებს.

პრინციპი 13: საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობა და მართვა ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას, ეფექტურობასა და ეფექტიანობას.

- a. საჯარო მმართველობა ორგანიზაციულად მოწყობილია ორგანოების ცხადი და თანმიმდევრული ტიპოლოგიის შესაბამისად, მათი ძირითადი ფუნქციების საფუძველზე.
- b. ეფექტური მექანიზმები ინარჩუნებს საჯარო მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის კომპაქტურობასა და რაციონალურობას. საჯარო მმართველობის ორგანოების შექმნა, გაერთიანება და ლიკვიდაცია ხორციელდება ზეგავლენის გონივრული *წინასწარი (Ex ante)* ანალიზის საფუძველზე.
- c. მინისტრები პოლიტიკურად ანგარიშვალდებულნი არიან საჯარო მმართველობის ორგანოების საქმიანობაზე პოლიტიკის შესაბამის მიმართულებებში.
- d. სამინისტროებს დაკისრებული აქვთ დაქვემდებარებული უწყებების საქმიანობის კოორდინაციის, ზედამხედველობისა და მართვის პასუხისმგებლობა, შესაბამისი ორგანიზაციული მექანიზმებითა და საკმარისი შესაძლებლობებით.
- e. აღმასრულებელი ფუნქციების შემსრულებელი საჯარო მმართველობის ორგანოები, მათ შორის მარეგულირებლები, ანგარიშვალდებულნი არიან მთავრობის წინაშე დარგობრივი სამინისტროების წინაშე ანგარიშვალდებულების გავლით.
- f. მარეგულირებელი ორგანოები სარგებლობენ ავტონომიის იმ დონით, რომელიც საჭიროა მათი ფუნქციების ეფექტური შესრულებისთვის.
- g. საკონსტიტუციო ორგანოები და საზედამხედველო დაწესებულებები არიან დამოუკიდებლები და ანგარიშვალდებულები არიან პარლამენტის წინაშე.
- h. საჯარო მმართველობის ორგანოები მოქმედებენ ანგარიშვალდებულების ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც დაფუძნებულია მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზნებსა და შესრულების მაჩვენებლებზე.
- i. საჯარო მმართველობის ორგანოების შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს ფუნქციების ეფექტურ შესრულებას და ჰორიზონტალურ კოორდინაციას, უფლებამოსიანებისა და ანგარიშვალდებულების იერარქიის მკაფიო განსაზღვრის გზით.
- j. საჯარო მმართველობის დაწესებულებები იყენებენ ხარისხის მართვის აღიარებულ ინსტრუმენტებს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და მუდმივი გაუმჯობესების ხელშესაწყობად.
- k. საჯარო მმართველობის ორგანოები ამცირებენ გარემოზე ზემოქმედებას საქმიანობის ორგანიზებისა და რესურსების მართვის გზით.
- l. ხელმძღვანელებს ყველა დონეზე მინიჭებული აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები, გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ავტონომია და აუცილებელი რესურსები მათი ანგარიშვალდებულების ქვეშ არსებული შედეგების მისაღწევად.
- m. საჯარო მმართველობის დაწესებულებები ახდენენ კოორდინაციას და თანამშრომლობენ მათ ორგანიზაციულ საზღვრებს გარეთ არსებულ სხვა ორგანიზაციებთან და დარგებთან.

პრინციპი 14: სუბსიდიარობისა და ადგილობრივი ავტონომიის პრინციპის გათვალისწინებით, პასუხისმგებლობები მკაფიოდაა გადანაწილებული ხელისუფლების დონეებს შორის, რაც ხელს უწყობს უწყებათაშორის კოორდინაციას ეფექტური ზედამხედველობის მექანიზმებით.

- დუბლირების თავიდან ასაცილებლად და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად, პარლამენტი კანონით ადგენს კომპეტენციებისა და უფლება-მოვალეობების გადანაწილებას ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის.
- რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობებს გააჩნიათ ავტონომია შესაბამისი კანონების ფარგლებში თავიანთი კომპეტენციების განსახორციელებლად.
- კანონის საფუძველზე, კომპეტენტური ორგანოები ახორციელებენ ზედამხედველობას რეგიონულ და ადგილობრივ თვითმმართველობებზე. ეს ზედამხედველობა პროპორციულია და გადაწყვეტილებების მიღებისას არ ხელყოფს მათ ავტონომიას საკუთარი და დელეგირებულ კომპეტენციებს დიფერენცირების გზით, და ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია გამოსწორების შესაძლებლობა.
- ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ურთიერთწინააღმდეგობის საკითხები წყდება დამოუკიდებელი მექანიზმის საშუალებით.
- კოორდინაციის ეფექტური სტრუქტურები ხელს უწყობს პოლიტიკისა და პრიორიტეტების თანხვედრას ხელისუფლების ყველა დონეზე.
- რეგიონული და ადგილობრივი მთავრობები თანამშრომლობენ და ქმნიან პარტნიორულ ურთიერთობებს საჯარო სამსახურის განვითარებისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- კომპეტენციები ენიჭება მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომ ხელისუფლების დონეს, როგორც ამოცანის მასშტაბის, ხასიათის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის, ისე, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობების ზომის გათვალისწინებით.

პრინციპი 15: საჯარო მმართველობა გამჭვირვალე და ღიაა.

- მთავრობას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული ამოცანები საჯარო მმართველობის ღიაობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, კონკრეტული სუბიექტებისთვის მკაფიო პასუხისმგებლობების მინიჭების გზით.
- ფიზიკურ პირებს, მათ შორის არარეზიდენტებს, და იურიდიულ პირებს აქვთ კანონიერი უფლება მიიღონ საჯარო ინფორმაცია მათი მოთხოვნის დასაბუთების გარეშე.
- საჯარო ინფორმაცია მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც ასახულია როგორც საჯარო მმართველობის, ისე, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ დოკუმენტებში¹⁶, რომლებიც ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ არსებობს ინფორმაციის გასაიდუმლოების დამაჯერებელი მიზეზები; კანონი ზუსტად განსაზღვრავს ამ მიზეზებს.
- საჯარო მმართველობა ეხმარება მხარეებს მოთხოვნილი ინფორმაციის იდენტიფიცირებაში და ოპერატიულად აწვდის ამ ინფორმაციას მოთხოვნილ ფორმატში უფასოდ, გარდა ასლების მომზადების და მიწოდების ხარჯებისა.
- საჯარო მმართველობა აცნობებს საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის საფუძველს, მხარეებს კი უფლება აქვთ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებელ ორგანოში ან სასამართლოში.

¹⁶ „დოკუმენტი“ ნიშნავს ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელს, განურჩევლად მისი ფორმისა თუ ფორმატისა (ნაბეჭდი დოკუმენტი, ელექტრონული დოკუმენტი, ელექტრონული მონაცემთა ბაზა, ხმოვანი ან აუდიო-ვიზუალური ლენტი, ფოტო და სხვ.).

- f. საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგის, მეთოდური მითითებების მიწოდებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება-მოსილება ცხადად არის განსაზღვრული, მინიჭებული და სრულდება.
- g. საჯარო მმართველობა აწარმოებს დოკუმენტების განახლებულ რეესტრებს, ადგენს და იცავს დოკუმენტების შენახვასა და განადგურებასთან დაკავშირებულ წესებს, რომ ფლობდეს საჯარო საქმიანობისა და გადაწყვეტილებების შესახებ მარტივად ხელმისაწვდომ მტკიცებულებებს.
- h. საჯარო ორგანოების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და კომერციული თუ არაკომერციული მიზნით სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებული კვლევების ხელთ არსებული ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული მეტამონაცემები ფართოდ ხელმისაწვდომია ხელახალი გამოყენების მიზნით.¹⁷
- i. საჯარო მმართველობის ორგანოები პროაქტიულად წარადგენენ საჯარო ინფორმაციას, რომელიც არის შესაფერისი, სრული, ზუსტი და განახლებული, ხელმისაწვდომი, გასაგები, მანქანით წაკითხვადი, ღია ფორმატში და შესაძლებელია ამ ინფორმაციის განმეორებით გამოყენება.

პრინციპი 16: პარლამენტი, ომბუდსმენი და უმაღლესი აუდიტორული ორგანო ეფექტურ ზედამხედველობას ახორციელებენ საჯარო მმართველობაზე.

- a. პარლამენტი და მისი კომიტეტები ეფექტურ ზედამხედველობას ახორციელებენ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მონიტორინგს უწევენ მისი მუშაობის ხარისხს მოსმენების, მთავრობისთვის დასმული შეკითხვების, საპარლამენტო მოკვლევების, საჯარო პოლიტიკის შეფასებისა და საბიუჯეტო ზედამხედველობის გზით.
- b. პარლამენტი აქტიურად უჭერს მხარს სახალხო დამცველს და უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს (SAI) ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელებაში სათანადო რესურსების უზრუნველყოფის, მათი ანგარიშების განხილვისა და მთავრობისადმი მოწოდებით გამოასწოროს ზედამხედველობის ორგანოების მიერ გამოვლენილი ხარვეზები.
- c. ომბუდსმენის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია როგორც კანონმდებლობით, ისე პრაქტიკაში. ომბუდსმენს აქვს საკმარისი ინსტიტუციური შესაძლებლობები ორგანიზაციის მანდატის განსახორციელებლად და სარგებლობს საზოგადოების ნდობით.
- d. ომბუდსმენის ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მაღალი მორალური მახასიათებლები, კეთილსინდისიერება, სათანადო პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება სავალდებულო მოთხოვნის სახით დაწესებულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფილია პრაქტიკით.
- e. ომბუდსმენის ან მასთან გათანაბრებული ინსტიტუტის მანდატი, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობის ყველა ორგანოში არაკეთილსინდისიერი მმართველობის პრევენციასა და გამოსწორებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვასა და ხელშეწყობას, გათვალისწინებულია კანონმდებლობით და ხორციელდება პრაქტიკაში. ომბუდსმენს აქვს შესაბამისი უფლებამოსილება გამოიძიოს ცალკეული შემთხვევები და სისტემური საკითხები.
- f. საჯარო მმართველობის ორგანოები ეფექტურად ახორციელებენ ომბუდსმენის რეკომენდაციებს, მათ შორის სისტემური ხასიათის რეკომენდაციებს.

¹⁷ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის (EU) დირექტივა 2019/1024 ღია მონაცემებისა და საჯარო ინფორმაციის განმეორებით გამოყენების შესახებ (შეცვლილი რედაქციით), <http://data.europa.eu/eli/dir/2019/1024/oj>.

- g. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს (SAI), მისი ხელმძღვანელისა და წევრების დამოუკიდებლობა, ყველა ფორმით, დადგენილია კონსტიტუციით, დაცულია სამართლებრივად და დაცულია პრაქტიკაში.
- h. უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს (SAI) აქვს საკმარისი შესაძლებლობები მანდატის განსახორციელებლად და სარგებლობს საზოგადოების ნდობით.
- i. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს (SAI) მანდატი, რომელიც ეხება შესაბამისობის, ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტების განხორციელებას საჯარო მმართველობის ყველა ორგანოში, გათვალისწინებულია კანონმდებლობაში და ხორციელდება პრაქტიკაში.
- j. საჯარო მმართველობის ორგანოები ეფექტურად ასრულებენ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს (SAI) რეკომენდაციებს, მათ შორის სისტემური ხასიათის რეკომენდაციებს.

პრინციპი 17: კარგი მმართველობის უფლება დაცულია ადმინისტრაციული პროცედურების, სასამართლო კონტროლისა და საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულების გზით.

- a. ადმინისტრაციული პროცედურები ტარდება კანონიერების პრინციპების დაცვით, რაშიც შედის დისკრეციის მართლზომიერი გამოყენება, სამართლებრივი განსაზღვრულობა, თანასწორობა, მიუკერძოებლობა და პროპორციულობა.
- b. ადმინისტრაციულ პროცედურებში ჩართულ მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ დაცვის და საქმის მასალების გაცნობის უფლება.
- c. საჯარო მმართველობა უზრუნველყოფს თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებას, ამცნობს მხარეებს და აწვდის ინფორმაციას გასაჩივრების უფლების შესახებ. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება სრულად სასარგებლოა ყველა ჩართული მხარის ინტერესებისთვის და არცერთი მხარე არ წარმოადგენს მასზე მოთხოვნას.
- d. თუ მოქმედებს შიდა ადმინისტრაციული გასაჩივრების მექანიზმები, ისინი უზრუნველყოფენ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებების სწრაფ და მარტივ ხელმისაწვდომობას.
- e. მთავრობა მონიტორინგს უწევს ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული პროცედურების ფუნქციონირებას, შიდა ადმინისტრაციული გასაჩივრების შედეგებს, ასევე სასამართლო საჩივრებს და, საჭიროების შემთხვევაში, აგვარებს მმართველობის ეფექტიანობასთან, ეფექტურობასა და კანონიერებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გამოწვევას.
- f. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეფექტურად მიუწვდებათ ხელი დამოუკიდებელ სასამართლოზე ადმინისტრაციული აქტებისა და ქმედებების კანონიერების გასაჩივრებისა და მათი უფლებების ეფექტური დაცვის დროულად მიღების მიზნით.
- g. ადმინისტრაციულ სასამართლოს აქვს საჭირო მანდატი და რესურსები, რომ უზრუნველყოს ხარისხიანი გადაწყვეტილებების ეფექტიანად მიღებას, რომელთა აღსრულება ეფექტურად ხდება.
- h. საჯარო ხელისუფლების მქონე პირთა მხრიდან არასათანადო ქმედებებით მიყენებული ზარალი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უნაზღაურდებათ და ისინი იღებენ სამართლიან კომპენსაციას.
- i. საჯარო მმართველობა აანალიზებს საკომპენსაციო გადახდების მიზეზებს და იღებს შესაბამის ზომებს შეცდომებზე სწავლის მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს მსგავსი შეცდომები მომავალში.

პრინციპი 18: საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სისტემა მინიმუმამდე ამცირებს კორუფციის რისკებს.

- a. მთავრობას შემუშავებული აქვს სტრატეგიული მიზნები კორუფციის რისკებისა და კეთილსინდისიერების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების შესამცირებლად, რისკების ანალიზსა და მონაცემებზე დაყრდნობით.
- b. მარეგულირებელი ჩარჩო განსაზღვრავს კორუფციულ ქმედებებსა და კეთილსინდისიერების ხელყოფას, როგორც სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, პროპორციული პასუხისმგებლობის დაკისრების ჩათვლით.
- c. ეთიკური ქცევის წესები და ღირებულებები დანერგულია მთლიან საჯარო სექტორში და ეფექტურად ხორციელდება, როგორც მათზე ინფორმირება, ისე მათი აღსრულება.
- d. ადვილად ხელმისაწვდომი და სანდო გასაჩივრების მექანიზმი ხელს უწყობს კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტების შესახებ შეტყობინებას და ღია ორგანიზაციულ კულტურას.
- e. კანონი იცავს მამხილებლებს ყოველგვარი ანგარიშსწორებისგან; მათ შეუძლიათ კონფიდენციალურად შეატყობინონ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომი ღონისძიებების გატარებას¹⁸.
- f. ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხების მართვა ხორციელდება თანმიმდევრული სისტემით, რომელიც ასეთი საკითხის გადასაწყვეტად ითვალისწინებს მეთოდურ მითითებებსა და პროცედურებს, შეუთავსებელი საჯარო ფუნქციებისა და კერძო საქმიანობის ნუსხას; ამასთან ერთად, ამცირებს საჯარო სამსახურში დასაქმებამდე და დასაქმების შემდგომ რისკებს, მაგალითად, მოცდის ვადების დაწესების გზით.
- g. პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილების მქონე საჯარო ორგანო მონიტორინგს უწევს რისკზე დაფუძნებულ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მართვის სისტემას; მოქმედებს მექანიზმები პირად აქტივებსა და დეკლარირებულ შემოსავლებს შორის შეუსაბამობების გამოძიებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის გამოყენების მიზნით.
- h. ლობირებისა და ზემოქმედების საქმიანობები განსაზღვრულია, გამჭვირვალეა და კეთილსინდისიერად ხორციელდება.
- i. კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რისკის მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა ფუნქციონირებს საჯარო სექტორის ყველა ორგანიზაციაში.
- j. კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენა, მოკვლევა და პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმის გამოყენება ხდება სამართლიანად, ობიექტურად და დროულად; გასაჩივრების მექანიზმი ხელმისაწვდომია.
- k. საჯარო მმართველობის ორგანოები სამართალდამცავ ორგანოებს უზიარებენ ინფორმაციას, რათა უზრუნველყონ უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და სისხლის სამართლის გამოძიების შესაძლებლობა; ისინი საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას აღნიშნული საქმეების შედეგების შესახებ, კონფიდენციალურობის დაცვით.
- l. პასუხისმგებელი ორგანო რეგულარულად აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს ანტიკორუფციული და კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი სისტემების ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით.

¹⁸ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2019 წლის 23 ოქტომბრის დირექტივა (EU) 2019/1937 იმ პირთა დაცვის შესახებ, რომლებიც განაცხადს აკეთებენ ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2019/1937/oj>.



სერვისების მიწოდება და გაციფრულება

საჯარო მმართველობა ორიენტირებულია მომსახურების მიმღებზე და ელექტრონულ თუ ფიზიკურ ფორმატში ყველა ადამიანსა და ორგანიზაციას აწვდის ხარისხიან და მარტივად ხელმისაწვდომ სერვისებს. გაციფრულება უზრუნველყოფს მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას, პროცესების ეფექტურობასა და ეფექტიანობას.

პრინციპი 19: ადმინისტრაციული სერვისების დიზაინი და მიწოდება ორიენტირებულია მომსახურების მიმღებზე.

- a. მთავრობა ადგენს და კოორდინაციას უწევს მთავრობის ერთიანი მიდგომის პოლიტიკას, რომ მუდმივად გააუმჯობესოს საჯარო მმართველობის სერვისების დიზაინი და მიწოდება მომხმარებლების საჭიროებების ცვლილების საფუძველზე.
- b. საჯარო მმართველობის ორგანოები მომხმარებლების ჩართულობით ადგენენ მოქალაქეების საჭიროებებს, მოლოდინებსა და გამოცდილებას და მათი აქტიური მონაწილეობით (თანაშემოქმედება) ქმნიან საჯარო მმართველობის სერვისების დიზაინს (რეკონსტრუქცია).
- c. საჯარო მმართველობა ახორციელებს არსებული ადმინისტრაციული პროცედურების რეგულარულ გადასინჯვას მომსახურების გამარტივებისა და გაუმჯობესების მიზნით, რაც ამცირებს საჭირო ხარჯებს, დროსა და ადგილზე ფიზიკურად გამოცხადების საჭიროებას.
- d. ახალი პოლიტიკისა და სერვისების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში საჯარო მმართველობა უზრუნველყოფს, რომ არ წარმოიქმნას არასაჭირო ადმინისტრაციული ტვირთი და ხარჯები.
- e. საჯარო მმართველობა ადგენს მომსახურების სტანდარტებს, განსაზღვრავს მათ მომხმარებლებთან ერთად, აწვდის მომხმარებლებს ინფორმაციას ამ სერვისების შესახებ და რეგულარულად აახლებს მათ ცვალებადი გარემოებებისა და მოლოდინების ასახვის მიზნით.
- f. საჯარო მმართველობა რეგულარულად ახორციელებს სერვისების ხარისხის მონიტორინგს მიწოდების სტანდარტებთან და სხვა მაჩვენებლებთან შედარების გზით, რომ გაანალიზოს საკუთარი გამოცდილება და გააუმჯობესოს სერვისების დიზაინი და მიწოდება.

პრინციპი 20: საჯარო მმართველობა აწვდის ოპტიმიზებულ და ხარისხიან სერვისებს.¹⁹

- a. საჯარო მმართველობა უზრუნველყოფს სერვისების ოპტიმიზებულ მიწოდებას მომსახურების მიმღებთა მაქსიმალური კომფორტის მისაღწევად.
- b. საჯარო მმართველობა ორგანიზებას უწევს და მომხმარებლებს სთავაზობს საჯარო სერვისებს „ცხოვრებისეული მოვლენების“ ფორმით.
- c. საჯარო მმართველობა უზრუნველყოფს პროაქტიულ ადმინისტრაციულ სერვისებს, სადაც იგი იყენებს პროგნოზირებასა და ავტომატიზებას, რომ საჭიროების შესაბამისად შესთავაზოს მომსახურება.
- d. მომხმარებლებს კანონიერი უფლება აქვთ, რომ საჯარო მმართველობას ინფორმაცია და დოკუმენტაცია მხოლოდ ერთხელ მიაწოდონ. სახელმწიფო მმართველობა ამ უფლებას თანმიმდევრულად იყენებს.

¹⁹ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2018 წლის 2 ოქტომბრის რეგულაცია (EU) 2018/1724, რომელიც ინფორმაციის მისაღებად, პროცედურების, დახმარებისა და პრობლემების გადაჭრის სერვისების მისაღებად ადგენს ერთიან ციფრულ პორტალს, <http://data.europa.eu/eli/reg/2018/1724/oj>.

პრინციპი 21: ადმინისტრაციული სერვისები მარტივად არის ხელმისაწვდომი ციფრულ²⁰ და ფიზიკურ ფორმატში, განსხვავებული საჭიროებების, არჩევანისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

- a. საჯარო მმართველობა სერვისების მიწოდებას ახორციელებს სხვადასხვა არხის საშუალებით. იგი აერთიანებს ციფრულ და (ციფრული მხარდაჭერის მქონე) ფიზიკურ არხებს, რომ მომხმარებლებმა მიიღონ უხარვეზო მომსახურება და, სურვილის შემთხვევაში, ციფრული კომუნიკაციის შესაძლებლობა ჰქონდეთ საჯარო მმართველობის ნებისმიერ ერთეულთან.
- b. გონივრულად დასაშვებ დისტანციაზე, ყველა პოტენციურ მომხმარებელს ფიზიკური წვდომა აქვს ხარისხიან საჯარო სერვისებზე, სერვისების მიწოდებაში მონაწილე საჯარო მმართველობის ორგანოების თანამშრომლობისა და მთავრობის სხვადასხვა დონეების შორის კოორდინაციის შედეგად.
- c. საჯარო მმართველობა ითვალისწინებს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მრავალფეროვან საჭიროებებს მომსახურების მიწოდებისას (მათ შორის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ციფრულ უნარებს და ენის ცოდნას) და უზრუნველყოფს ბარიერების გარეშე სერვისებზე წვდომას.
- d. საჯარო მმართველობა უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის მარტივად მოსაძებნი იყოს სერვისის მიღების სასურველი არხი და ადვილად ხელმისაწვდომი იყოს მათი უფლებების, მოვალეობების, სერვისებისა და მათი მიმწოდებელი ინსტიტუტების შესახებ ინფორმაცია, მაგალითად, სერვისების კატალოგით.
- e. საკომუნიკაციო ინსტრუმენტებში (ვებგვერდები, ბუკლეტები, ფორმები და ა.შ.) და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების კონტექსტში, საჯარო მმართველობის ორგანოები იყენებენ ლაკონიურ და გასაგებ ენას, რომელიც გადმოსცემს ყველა შესაბამის ინფორმაციას სერვისების მიმღებთა სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებით (კანონით გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობების ენები, მხედველობა და სმენა დაქვეითებულითა საჭიროებები ა.შ.).

²⁰ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2016 წლის 26 ოქტომბრის დირექტივა 2016/2102 საჯარო სექტორის ორგანოების ვებგვერდებზე წვდომისა და მობილური აპლიკაციური პროგრამების შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2016/2102/oj>.

პრინციპი 22: გაციფრულება მონაცემებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებებისა და ეფექტიანი, ეფექტური და რეაგირების უნარის მქონე პოლიტიკის, სერვისებისა და პროცესების შესაძლებლობას იძლევა მთლიანი მთავრობის მასშტაბით.

- a. საჯარო მმართველობა უზრუნველყოფს ეფექტური, ინტეგრირებული და ციფრული სამთავრობო სტრატეგიებისა და სერვისების შესაქმნელად საჭირო ხელმძღვანელობას, კოორდინაციასა და შესაძლებლობებს.
- b. საჯარო რეესტრები თავისი დიზაინით ციფრულია და მონაცემები თანმიმდევრულად და სისტემატურად იმართება, რომ უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა სანდოობა, მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა; მონაცემები აქტიურად გამოიყენება და ზიარდება, როგორც საჯარო მმართველობის სისტემის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- c. მთლიანი საჯარო მმართველობის სისტემის მასშტაბით საჯარო რეესტრების (იურიდიული, სემანტიკური, ორგანიზაციული და ტექნიკური) ურთიერთთავსებადობა აუმჯობესებს სერვისებს და ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანოების სისტემების ინტეგრაციას.²¹
- d. მომხმარებლისთვის მარტივად გამოსაყენებელი ციფრული იდენტურობა, ელექტრონული ხელმოწერისა და ნდობის სერვისები, ელექტრონული გადახდისა და მიწოდების გადაწყვეტები არის ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომი, იურიდიული ძალის მქონე, ტექნიკურად გამართული და ფართოდ გამოყენებული.²²
- e. ციფრული სამთავრობო ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო სისტემები იძლევა მასშტაბის შეცვლის შესაძლებლობას, არის მოქნილი და მომავალზე ორიენტირებული.
- f. საჯარო მმართველობა ხელს უწყობს ციფრული შესაძლებლობების და ახალ ტექნოლოგიების გამოყენებას (მაგ.: ხელოვნური ინტელექტი); ამ მიზნებისთვის, აგრეთვე გამოიყენება მოქნილი მარეგულირებელი ჩარჩო რისკების ადეკვატური შემცირების პირობებში.
- g. კიბერუსაფრთხოების და კონფიდენციალურობის რისკების შემცირება უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, განსაკუთრებით, პერსონალური მონაცემების დაცვას და პრევენციის ჩარჩოების გამოყენება და საკმარისი შესაძლებლობების შექმნა აუმჯობესებს საზოგადოების ნდობას.²³
- h. საჯარო მმართველობა იმუშავებს და ახორციელებს მიზანმიმართულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც ციფრულ დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების და ხელმძღვანელების მოზიდვას და შენარჩუნებას, ისე საჯარო მოხელეებში ციფრული უნარ-ჩვევებისა და მენტალიტეტის განვითარებას.
- i. საჯარო მმართველობა აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, რომ გააფართოოს სახელმწიფო სახსრებით შემუშავებული ციფრული გადაწყვეტების ხელახალი გამოყენება და წახალისოს თანამშრომლობითი ეკოსისტემა მთელი ეკონომიკის მასშტაბით ელექტრონული სერვისების მიწოდებისა და გამოყენების მიზნით.

²¹ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომი სტანდარტების, მათ შორის ევროპის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩოს შესაბამისად: COM (2017) 134 საბოლოო, *ევროპის ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო*, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM:2017:134:FIN>.

²² ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის რეგულაცია: (EU) No 910/2014 ციფრული იდენტურობის და ნდობის სერვისები ელექტრონული ოპერაციებისთვის შიდა ბაზარზე, რომელიც აუქმებს დირექტივას 1999/93/EC, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2014.257.01.0073.01.ENG.

²³ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია: (EU) 2016/679 ფიზიკურ პირთა დაცვა პერსონალური მონაცემების დამუშავების და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის საკითხებში, (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია), <http://data.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>.



საჯარო ფინანსების მართვა

საჯარო მმართველობა გეგმავს და მართავს საჯარო ფინანსებს, რათა უზრუნველყოს ფინანსების **მდგრადობა** და **გამჭვირვალობა** და შექმნას პოლიტიკის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. კონტროლის, შესყიდვებისა და ზედამხედველობის წესები შექმნილია საჯარო რესურსების ეკონომიური, ეფექტიანი და ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ნაწილდება ხელისუფლების ყველა დონეზე.

პრინციპი 23: წლიური ბიუჯეტი არის დეტალური, მომზადებულია სანდო და განახლებადი საშუალოვადიანი ჩარჩოს ფარგლებში და ახალანსებს პოლიტიკის საჭიროებებსა და ფისკალურ შეზღუდვებს.

- a. ბიუჯეტი მომზადებულია შესაბამისი კანონმდებლობისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კალენდრის შესაბამისად, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციებს წინადადებების მოსამზადებლად საკმარის დროს აძლევს.
- b. წარმოდგენილ მაკროეკონომიკურ პროგნოზებსა და კანონმდებლობით დადგენილ ფისკალურ წესებზე დაყრდნობით, ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებს საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩო დოკუმენტს, რომელშიც წარმოდგენილია მინიმუმ მომდევნო სამი წლის პოლიტიკის მიზნები ჯამური ფისკალური მაჩვენებლებისთვის.
- c. საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო დოკუმენტი ერთმანეთთან აკავშირებს ფისკალურ და დარგობრივ პოლიტიკას დარგობრივი სამინისტროების ინდივიდუალური საშუალოვადიანი ხარჯვითი ჭრების საშუალებით, რომელთა საფუძველზეც მზადდება წლიური ბიუჯეტი. ზემოაღნიშნული მტკიცდება მთავრობის მიერ.
- d. სამინისტროები კოორდინაციას უწევენ ბიუჯეტის მომზადებას საკუთარ დარგებში, რომ პოლიტიკით გაწერილი ვალდებულებები თანხვედრაში იყოს მოყვანილი დარგობრივ საბიუჯეტო ასიგნებებთან.
- e. დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო აუმჯობესებს ფისკალურ დისციპლინას, როგორც, საბიუჯეტო გათვლებში საპროგნოზო მაჩვენებლების და მაკროეკონომიკური დაშვებების ხარისხზე, ისე, მთავრობის მიერ კანონით გათვალისწინებული ფისკალური წესების შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებით; ის ამასთან ერთად, რჩევას აძლევს მთავრობას ფისკალური პოლიტიკის საკითხებში.
- f. წლიური ბიუჯეტის დოკუმენტაცია დეტალურია და მასში შედის ყველა საჯარო ხარჯები და შემოსავლები, ფისკალურ რისკები, საგადახდო დანახარჯები და მრავალწლიანი ვალდებულებები.
- g. ბიუჯეტი წარმოდგენილია ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ფუნქციური და პროგრამული თვალსაზრისით და იყენებს არაფინანსური შესრულების შესახებ ინფორმაციას. ისეთ პოლიტიკებთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა კლიმატ-მეგობრული გარდაქმნა და გენდერული თანასწორობა, ექვემდებარება მონიტორინგს იმ ინიციატივების გავლენის შესაფასებლად, სადაც ისინი განსაზღვრულია შესაბამის ამოცანებად და მიზნებად.
- h. ობიექტური შერჩევის კრიტერიუმებს ეფუძნება კაპიტალური საინვესტიციო პროექტების განხორციელების გეგმა. საბიუჯეტო დოკუმენტში წარმოდგენილია მრავალწლიანი ინვესტიციების ხარჯები და შეფასებულია მათი ფისკალური რისკები და საექსპლუატაციო ხარჯები.
- i. პარლამენტს აქვს საკმარისი დრო და რესურსი ახალი ფისკალური წლის დაწყებამდე ბიუჯეტის პროექტის გასაანალიზებლად, განსახილველად და დასამტკიცებლად.
- j. მთავრობა ახორციელებს ბიუჯეტის შედგენის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტიმულირებას საბიუჯეტო დოკუმენტაციის სრული ნაკრების გასაჯაროების, მოქალაქის ბიუჯეტის მომზადებისა და ღია საბიუჯეტო ინსტრუმენტების გამოყენების გზით.

პრინციპი 24: მთავრობა მხარს უჭერს ბიუჯეტის განხორციელებას და მომსახურების მიწოდებას მოკლე და საშუალო ვადაში ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფის გზით.

- a. საჯარო მმართველობის შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო შემოსავლების შეგროვებას ეფექტიანად და ეფექტურად ახორციელებს ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებით.
- b. შემოსავლების რეალიზაცია საბიუჯეტო გათვლებთან შესაბამისობაშია.
- c. მთავრობა ყოველდღიურად ფლობს სრულ ინფორმაციას საკუთარი ფულადი სახსრების ნაშთზე, ხაზინის ერთიანი ანგარიშის გამოყენებითა და ყველა სხვა საბანკო ანგარიშზე ნაშთების ზედამხედველობის განხორციელების გზით.
- d. მთავრობა უზრუნველყოფს ფინანსური მონაცემების სანდოობას სახაზინო საინფორმაციო სისტემის, სააღრიცხვო საინფორმაციო სისტემებისა და საბანკო ანგარიშის მონაცემების რეგულარული შეჯერებით.
- e. ფულადი სახსრების მართვის ფუნქცია უზრუნველყოფს ვალდებულებების ყოველთვის კანონიერ ვადებში შესრულებას, ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზებისა და კაპიტალის ბაზარზე წვდომით ფულადი სახსრების დეფიციტის აღმოსაფხვრელად.
- f. კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს, რომ საჯარო სექტორის ორგანიზაციებმა არ გადააჭარბონ საბიუჯეტო ასიგნებებს დაუფინანსებელი ხარჯების ვალდებულების აღების შედეგად.
- g. მთავრობა თავის ვალდებულებებს კანონით დაწესებულ ვადებში ასრულებს. ის მართავს, აკონტროლებს და რეგულარულად ახდენს ანგარიშმგებლობას ნებისმიერი შეუსრულებელი ვალდებულების შესახებ, როგორცაა ვადაგადაცილებული გადახდა.
- h. სახელმწიფო სესხები მის ფონდებში დაფინანსების გარღვევის დასაფარავად არის გონივრული და მდგრადი, და შეესაბამება გამოქვეყნებულ ვალის მართვის საშუალოვადიან სტრატეგიასა და ფისკალურ სტრატეგიას.
- i. მთავრობა ამცირებს არამდგრადი ვალის ტვირთის ფისკალურ რისკს ცენტრალური ხელისუფლების სასესხო მანდატის ცენტრალიზებისა და სხვა საჯარო უწყებების მიერ სესხების აღებაზე სამართლებრივი შეზღუდვების ან გარანტიების დაწესების გზით.

პრინციპი 25: მთავრობა ბიუჯეტის შესრულებას ახორციელებს საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად და წარმოადგენს შესრულების ანგარიშს დეტალური და გამჭვირვალე წესით, რაც დროული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა.

- a. მთავრობა ბიუჯეტის შესრულებას ახორციელებს დამტკიცებული ასიგნებების, ფისკალური წესებისა და შესრულების სამიზნე მაჩვენებლების შესაბამისად.
- b. ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის შესრულებას მთლიანი საბიუჯეტო წლის განმავლობაში უწევს მონიტორინგს და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად რეგულარულად აქვეყნებს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას.
- c. ცენტრალური ხელისუფლება მუდმივად ახდენს ფისკალური რისკების მონიტორინგს და ზედამხედველობას უწევს მიმდინარე წლის ფინანსურ ეფექტიანობას, მათ შორის, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების და შესაბამისი საჯარო-კერძო პარტნიორობის გაუთვალისწინებელ ვალდებულებებს.
- d. ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგების ეროვნული სტანდარტები განსაზღვრულია და შეესაბამება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის დაწესებულ მინიმალურ მოთხოვნებს²⁴ და იძლევა ანგარიშების ევროპულ სისტემასთან (ESA2010) თავსებადი მონაცემების მიწოდების საშუალებას.
- e. მთავრობის წლიური ფინანსური ანგარიში დეტალურია და ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს²⁵. იგი მომზადებულია ბიუჯეტის ფორმატის მსგავსად, განმარტავს საბიუჯეტო მონაცემებიდან გადახრას, მოიცავს სახელმწიფო აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს; მასში აგრეთვე შედის არაფინანსური შესრულების შესახებ ინფორმაცია, სადაც შედეგები შედარებულია შესრულების მიზნობრივ მაჩვენებლებთან.
- f. მთავრობა კაპიტალური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციას წლიური ფინანსური ანგარიშის ფარგლებში ან ცალკე ანგარიშში წარმოადგენს.
- g. მთავრობა წლიური ფინანსურ ანგარიშის ფარგლებში ან ცალკე ანგარიშის სახით წარმოადგენს ინფორმაციას მისი პოლიტიკის, შესყიდვებისა და ოპერაციების მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შესახებ.
- h. ადგილობრივი და რეგიონული მმართველობები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები და არასაბიუჯეტო ფონდები ამზადებენ და აქვეყნებენ აუდიტორულად შემოწმებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.
- i. მთავრობა ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში. უმაღლესი აუდიტორული ორგანო ახორციელებს ანგარიშის აუდიტორულ შემოწმებას და პარლამენტი განიხილავს მას მომდევნო საბიუჯეტო განხილვამდე.

²⁴ ევროპული საბჭოს 2011 წლის 8 ნოემბრის დირექტივა 2011/85/EU წევრი სახელმწიფოების საბიუჯეტო ჩარჩო დოკუმენტების მოთხოვნების შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2011/85/oj>.

²⁵ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (სსბასს), ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ან ფინანსური ანგარიშგების ეროვნული ჩარჩო.

პრინციპი 26: საჯარო მმართველობის ორგანოები ეფექტურად და შესაბამისად მართავენ რესურსებს დასახული მიზნების მისაღწევად.

- a. შიდა კონტროლის ჩარჩო ვრცელდება მთელ საჯარო მმართველობაზე და თანხვედრაშია სხვა შესაბამის მარეგულირებელ წესებთან, მათ შორის წესებთან საჯარო ფინანსების მართვის შესახებ და საერთაშორისო სტანდარტებთან.
- b. ერთი სამინისტრო კოორდინაციას უწევს შიდა კონტროლის განხორციელებას, განიხილავს მიმდინარეობას და წარუდგენს მთავრობას საჯარო სექტორში შიდა კონტროლის განვითარების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს.
- c. საჯარო სექტორის ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ისეთი მართვისა და კონტროლის სისტემების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების, აქტივებისა და რესურსების კანონიერ, ეფექტურ, ეფექტიან და ეკონომიურ მართვას.
- d. ყველა რგოლის ხელმძღვანელებს ეკისრებათ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები, დელეგირებული აქვთ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ავტონომია და აუცილებელი რესურსები, იმ შედეგების მისაღწევად, რაზეც ისინი არიან პასუხისმგებელი.
- e. ხელმძღვანელებისთვის თითოეული დაწესებულება აწარმოებს დეტალურ, დროულ და ზუსტ ინფორმაციას ეფექტიანობისა და ბიუჯეტის შესრულების, მათ შორის მსხვილი საინვესტიციო პროექტების, შესახებ.
- f. საჯარო მმართველობის ორგანოები ავლენენ და პერიოდულად აფასებენ მათი მიზნების მიღწევისთვის საფრთხის შემქმნელ რისკებს, მათ შორის ეკონომიკურ ან გარემოსდაცვით რისკებს და ახორციელებენ აუცილებელ საპასუხო ზომებს ამ რისკების შესამცირებლად.
- g. მთავრობა მკაფიოდ განსაზღვრავს პირველი დონის დაწესებულებებსა და მათ დაქვემდებარებულ ორგანოებს შორის ურთიერთობას, ხოლო ძლიერი მმართველობითი მექანიზმები სახელმწიფო თუ რეგიონული/ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში არსებული და მათზე დამოკიდებული საწარმოების კონტროლს უზრუნველყოფს.
- h. საჯარო მმართველობისა და კონტროლის სისტემები მოიცავს დარღვევებისა და თაღლითობის პრევენციის, გამოვლენისა და გაცხადების პროცედურებს; ეს სისტემები უზრუნველყოფენ კოორდინაციას და თაღლითობისა და კორუფციის შემთხვევების დროულ გამოძიებას და საჯარიმო მექანიზმების გამოყენებას.

პრინციპი 27: შიდა აუდიტი აუმჯობესებს საჯარო მმართველობის ორგანოების მართვას.

- a. საჯარო მმართველობის მასშტაბით შიდა აუდიტის ფუნქცია თანმიმდევრულად ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ოპერაციული მოწყობის საფუძველზე და შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის განმარტებასთან შესაბამისობაში.
- b. მთავრობა ახდენს შიდა აუდიტის ჰარმონიზაციას და კოორდინაციას ცენტრალურ დონეზე, გამოსცემს დამხმარე მარეგულირებელ ნორმებს და მეთოდურ სახელმძღვანელოებს, რომლებიც გამოიყენება მთლიანი საჯარო სექტორის მასშტაბით.
- c. შიდა აუდიტის ფუნქციის სტრუქტურა და მოწყობა შეიძლება მოერგოს დაწესებულების ტიპს, ზომას და კომპლექსურობას. ეს მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ რამდენიმე დაწესებულების დაფარვის შესაძლებლობასაც.
- d. შიდა აუდიტი სამსახური უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ობიექტურ რჩემუნებას და ანგარიშვალდებულია უშუალოდ დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე²⁶.
- e. საჯარო მმართველობის ორგანოებს აქვთ შიდა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების განახლებული და ოფიციალურად დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა. წლიური გეგმები ფარავს მთლიან დაწესებულებას და ეფუძნება ორგანიზაციის რისკის მართვის, მმართველობის, შიდა კონტროლისა და ანგარიშგების ეფექტური ფუნქციონირების შეფასებას; გეგმები აგრეთვე ითვალისწინებს აუდიტის სხვადასხვა ტიპებს.
- f. შიდა აუდიტის ერთეულები ახორციელებენ შიდა აუდიტორულ საქმიანობას და შედეგებზე წარადგენენ ანგარიშს შიდა აუდიტის სტანდარტების, მეთოდოლოგიებისა და ეთიკის კოდექსების შესაბამისად, რომლებიც თანხვედრაშია შიდა აუდიტორთა საერთაშორისო ინსტიტუტის მეთოდურ მითითებებთან.
- g. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელები ახორციელებენ შიდა აუდიტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ხოლო შიდა აუდიტორები უზრუნველყოფენ რეკომენდაციების მიღების და მათი შესრულების პროცესზე მონიტორინგს.
- h. შიდა აუდიტორებს ფლობენ ეროვნულ ან გლობალურად აღიარებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს. საკოორდინაციო ორგანო უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.
- i. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და ხარისხის პერიოდული გარე შეფასება მუდმივად აუმჯობესებს შიდა აუდიტის ხარისხს.
- j. ფინანსური ინსპექციის არსებობის შემთხვევაში, ისინი შიდა აუდიტის როლის შემავსებელია.

²⁶ ეხება როგორც ინდივიდუალურ ხელმძღვანელს, ისე კოლექტიური მართვის ორგანოს.

პრინციპი 28: სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობა და კონცესიები, ეფუძნება თანაბარი მოპყრობის, არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობის, პროპორციულობისა და კონკურენციის პრინციპებს, რომელსაც მხარს უჭერს გამართული მმართველობის ჩარჩო.²⁷

- a. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობები (PPPs) და კონცესიები, ასახავს ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, როგორცაა “გაწეული ხარჯით მაქსიმალური სარგებლის მიღება”, თავისუფალი კონკურენცია, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა, თანაბარი მოპყრობა, ურთიერთაღიარება და პროპორციულობა.
- b. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობები და კონცესიები, შეესაბამება შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, ხელს უწყობს ეფექტიანობას და უზრუნველყოფს რეგულირების ბალანსს კონტრაქტის ზომის, შინაარსისა და რისკების პროპორციულად.
- c. საჯარო მმართველობას დანერგილი აქვს მკაფიო და დეტალური პოლიტიკა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის, მათ შორის, საჯარო-კერძო პარტნიორობებისა და კონცესიების გრძელვადიანი განვითარებისთვის.
- d. შემსყიდველი ორგანიზაციები²⁸ ახორციელებენ მდგრადი შესყიდვების სტრატეგიულ მიზნებს, მათ შორის მწვანე შესყიდვებს და, ამავდროულად, ინარჩუნებენ ბალანსს და თანმიმდევრულობას შესყიდვების ძირითად მიზნებთან.
- e. ცენტრალურ დონეზე მკაფიო პოლიტიკური და სამართლებრივი მანდატის მქონე ორგანოს დავალებული აქვს პოლიტიკის შემუშავების ფუნქცია, რომელიც წარმართავს და მართავს სახელმწიფო შესყიდვების რეფორმას. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დანერგვის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განაწილებული შესყიდვების ცენტრალურ ინსტიტუტებს შორის, რომლებსაც გააჩნიათ საჭირო უფლებამოსილება და რესურსები.
- f. შესყიდვების ცენტრალური ორგანო ახორციელებს შესყიდვების სისტემის მონიტორინგს, ზედამხედველობასა და შეფასებას და ავლენს შესაძლო გაუმჯობესებებს. იგი უზრუნველყოფს საჯარო წვდომას სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციების კონსოლიდირებულ მონაცემებზე (როგორც ხელშეკრულების დადების, ისე შესრულების).

²⁷ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/23/EU საკონცესიო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2014/23/oj>, ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2014/24/oj>, ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/25/EU იმ უწყებების შესყიდვების შესახებ, რომლებიც საქმიანობას ეწევიან წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების დარგებში, <http://data.europa.eu/eli/dir/2014/25/oj>, ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის დირექტივა 2009/81/EC შემსყიდველი ორგანიზაციების ან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უწყებების მიერ განსაზღვრული კატეგორიის სამუშაოს, მიწოდებისა და მომსახურებების ხელშეკრულებების დადების პროცედურების კოორდინაციის შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2009/81/oj>.

²⁸ წინამდებარე პრინციპებში გამოყენებული ტერმინი „შემსყიდველი ორგანიზაცია“ აგრეთვე მოიცავს იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობას ეწევიან კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების (utilities) სფეროებში.

პრინციპი 29: შემსყიდველი ორგანიზაციები ეფექტიანად და ეკონომიურად წარმართავენ, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციებს, ისე საჯარო-კერძო პარტნიორობებს.

- a. შემსყიდველი ორგანიზაციები შეიმუშავენ და დროულად აქვეყნებენ შესყიდვების წლიურ ან გრძელვადიან გეგმებს, რომლებიც შეესაბამება ბიუჯეტის დაგეგმვას. ინდივიდუალური შესყიდვების მომზადება, მათ შორის სასურველი შედეგების განსაზღვრა ეფუძნება საჭიროებების საფუძვლიან ანალიზს და ბაზრის კვლევას.
- b. კონკურენტული პროცედურები არის შესყიდვის სტანდარტული მეთოდები და შემსყიდველი ორგანიზაციები სხვა პროცედურებს მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევებში იყენებენ.
- c. სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციებისთვის სასარგებლოა ისეთი თანამედროვე ინსტრუმენტებისა და ტექნიკების გამოყენება, როგორებიცაა ჩარჩო შეთანხმებები, დინამიური შესყიდვების სისტემები; ამასთან, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოებისა შექმნა და შესაბამისი ურთიერთობების მოწყობა, რაც ამცირებს ოპერაციების ხარჯებს და უზრუნველყოფს უფრო კონკურენტუნარიან ფასებს და ტენდერის პროცესის გამარტივებას.
- d. შემსყიდველი ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ ელექტრონულ შესყიდვებს, რაც მოიცავს შესყიდვის პროცესის ყველა ეტაპს.²⁹
- e. შესყიდვის დოკუმენტაცია შეიცავს მკაფიო, შესაბამის და მიუკერძოებელ ტექნიკურ მახასიათებლებს, ისევე როგორც ცხად და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს მეწარმე სუბიექტის თვისობრივი ნიშნით შესარჩევად; ისინი კონკრეტული ხელშეკრულების პროპორციულია და მხოლოდ უზრუნველყოფს ხელშეკრულების წარმატებით შესასრულებლად მეწარმე სუბიექტისთვის საჭირო სამართლებრივ, ფინანსურ, ტექნიკურ და პროფესიულ შესაძლებლობებს. შესყიდვის დოკუმენტაცია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებისთვის არ აწესებს დაუსაბუთებელ ბარიერებს ან რაიმე სახის ზედმეტად მძიმე პროცედურულ მოთხოვნებს.
- f. ხელშეკრულების დადების კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული შესყიდვის დოკუმენტებში, შეესაბამება ხელშეკრულების საგანს და უზრუნველყოფს ტენდერების ობიექტურ შეფასებას და ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადებას ფასის ან ღირებულებისა და ხარისხის კონკრეტული კრიტერიუმების შეფასების მიხედვით.
- g. შემსყიდველი ორგანიზაციები მდგრადობის საკითხებს ითვალისწინებენ (გარემოსდაცვითი და სოციალური კრიტერიუმები³⁰) შესყიდვების ციკლის ყველა ეტაპზე, და, ამასთან ინარჩუნებენ გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და კონკურენტის პრინციპების დაცვას.
- h. შემსყიდველი ორგანიზაციები ახდენენ ინოვაციური შესყიდვების ინტეგრირებას თავიანთ პრაქტიკაში.

²⁹ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, და მასთან დაკავშირებული დირექტივა 2004/18/EC, <http://data.europa.eu/eli/dir/2014/24/oj>; ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/25/EU იმ უწყებების შესყიდვების შესახებ, რომლებიც საქმიანობას ეწევიან წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების დარგებში და მასთან დაკავშირებული დირექტივა 2004/17/EC <http://data.europa.eu/eli/dir/2014/25/oj>.

³⁰ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/2014/24/oj> და ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/25/EU იმ უწყებების შესყიდვების შესახებ, რომლებიც საქმიანობას ეწევიან წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების დარგებში <http://data.europa.eu/eli/dir/2014/25/oj>

- i. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი კონკურენტულია და იზიდავს ადგილობრივ და საერთაშორისო მეწარმე სუბიექტებს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს.
- j. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკონსულტაციო და ოპერაციული მხარდაჭერა სწრაფი, პრაქტიკული, სასარგებლო და შესაბამისია.
- k. კარგად ფუნქციონირებადი და მდგრადი სისტემა დანერგილია, რომელიც ხელს უწყობს შესყიდვების ოფიცრებისა და შესყიდვების სისტემის სხვა სუბიექტების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.
- l. სამოქალაქო საზოგადოებას ადეკვატური და დროული წვდომა აქვს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის თითოეულ ფაზასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, დაგეგმვისა და ხელშეკრულების შესრულების ჩათვლით, რომ მონიტორინგი გაუწიოს სახელმწიფო შესყიდვებს და იმოქმედოს, როგორც საგარანტიო მექანიზმმა არაგამჭვირვალე და არაკონკურენტული პრაქტიკისა და საჯარო რესურსების არაეფექტიანი და არაეფექტური გამოყენების წინააღმდეგ.
- m. შესყიდული საქონელი, სამუშაო ან მომსახურება მიწოდებულია ხელშეკრულების შესაბამისად დროის, ხარისხის, ღირებულებისა და სხვა სახელშეკრულებო პირობების მიხედვით; სახელშეკრულებო პირობებში ცვლილებების მართვა დროულად ხორციელდება და არ ზღუდავს კონკურენციას.
- n. შემსყიდველი ორგანიზაციები იყენებენ ინსტრუმენტებს სახელმწიფო შესყიდვების წარმოების ეკონომიურობის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის შედარებითი ანალიზისა და ხელშეკრულების შესრულების შესაფასებლად.

პრინციპი 30: შესყიდვების განხილვის დამოუკიდებელი სისტემა უზრუნველყოფს საჩივრების ეფექტურ, სწრაფ და კომპეტენტურ განხილვას.³¹

- a. შესყიდვების კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადგენს საჩივრების განხილვის მექანიზმებსა და პროცედურებს, მათ შორის დროებით ზომებს, ხელშეკრულებების არაეფექტურობასა და ალტერნატიულ ჯარიმებს, და ვრცელდება საჯარო ხელშეკრულებებზე, საჯარო-კერძო პარტნიორობებზე და კონცესიებზე.
- b. იმ შემთხვევებში, როდესაც შექმნილია განხილვის დამოუკიდებელი ორგანო (რეგულარული სასამართლოს ნაცვლად), ინსტიტუციური მოწყობა უზრუნველყოფს განმხილველი ორგანოსა და მისი წევრების ფუნქციების განხორციელებას დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების შესაბამისად.
- c. განხილვის პროცესი უზრუნველყოფს საჩივრების სწრაფ, ეფექტურ და კომპეტენტურ განხილვასა და გადაწყვეტას.
- d. განხილვისა და დავების მოგვარების სისტემა მარტივად არის ხელმისაწვდომი მეწარმე სუბიექტებისთვის დისკრიმინაციის, გადაჭარბებული ხარჯებისა და ადმინისტრაციული ტვირთის გარეშე.
- e. განხილვის პროცესი სათანადო ყურადღებას სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მიზნების მიღწევას უთმობს (განსაკუთრებით გაწეული ხარჯით მაქსიმალური სარგებლის მიღება, ღია, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კონკურენციის გზით), და არა წმინდა ფორმალურ შეცდომებსა და ხარვეზებს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებს, რომლებიც გავლენას არ ახდენს შესყიდვების პროცესის შედეგზე.
- f. განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის სასამართლო გადაწყვეტილების ხასიათის მატარებელი, შეიძლება გახდეს სასამართლო კონტროლის ან სხვა ისეთი ორგანოს განხილვის საგანი, რომელიც არის სასამართლო ან ტრიბუნალი და დამოუკიდებელია როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ისე განმხილველი ორგანოსგან.
- g. დეტალური მონაცემები დავების მოგვარების ინსტრუმენტის ფუნქციონირების შესახებ, მათ შორის განმხილველი ორგანოს ყველა გადაწყვეტილება სრული დასაბუთებით, დაუყოვნებლად ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალურ და უფასოდ ხელმისაწვდომ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს განმხილველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უფრო ფართო ხელმისაწვდომობას დეტალური ძებნის ძრავით.

³¹ 1989 წლის 21 დეკემბრის საბჭოს დირექტივა 89/665/EEC სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში მიწოდებისა და სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებების დადების პროცესის განხილვის პროცედურების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონების, მარეგულირებელი წესებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციის შესახებ, <http://data.europa.eu/eli/dir/1989/665/oj>, 1992 წლის 25 თებერვლის საბჭოს დირექტივა 92/13/CEE რომელიც ახდენს წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სექტორებში მოქმედი სუბიექტების შესყიდვების პროცედურებში ევროკავშირის წესების გამოყენებასთან დაკავშირებული კანონების, მარეგულირებელი წესებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციას, <http://data.europa.eu/eli/dir/1992/13/oj>, 2007 წლის 11 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს დირექტივა 2007/66/EC სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების დადების განხილვის პროცედურების ეფექტურობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, <http://data.europa.eu/eli/dir/2007/66/oj>.

პრინციპი 31: სახელმწიფო სახსრების ეფექტური აუდიტორული შემოწმება ხორციელდება დამოუკიდებელი აუდიტორული ორგანოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მარწმუნებლობას საჯარო რესურსების გამოყენებაზე და ხელს უწყობს საჯარო სექტორის ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

- a. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს, მისი ხელმძღვანელისა და წევრების დამოუკიდებლობა, ყველა ფორმით, დადგენილია კონსტიტუციით, დაცულია კანონით და სრულდება პრაქტიკაში.
- b. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მანდატი სრულად მოიცავს სახელმწიფო სახსრებს და პოლიტიკას.
- c. უმაღლესი აუდიტორული ორგანო ან სხვა პროფესიონალი, დამოუკიდებელი აუდიტორები პერიოდულად სრულად ამოწმებენ სახელმწიფო სახსრებს ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების განხორციელებით შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- d. უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს შეუზღუდავი წვდომა აქვს აუდიტის ობიექტის შენობა-ნაგებობებზე, დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე კანონით დადგენილი თავისი უფლებამოვალეობის სათანადოდ შესრულების მიზნით.
- e. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ორგანიზაციული მოწყობა, მმართველობა და ადამიანური რესურსების მართვა, ისევე როგორც აუდიტისა და სხვა საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა, შესაძლებლობას აძლევს აუდიტის უმაღლეს ორგანოს განახორციელოს საკუთარი მანდატი და მუდმივად გააუმჯობესოს ინსტიტუციური და პროფესიული შესაძლებლობები.
- f. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს დანერგილი აქვს ხარისხის მართვისა და ეთიკის პროცედურები ორგანიზაციულ დონეზე.
- g. აუდიტორული შემოწმების ანგარიშები ლაკონიურია და შეიცავს შესაბამის და სასარგებლო რეკომენდაციებს; დანერგილია შესაბამისი პროცედურები აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი შედეგების შემდგომი მონიტორინგის მიზნით.
- h. უმაღლესი აუდიტორული ორგანო ფართო კომუნიკაციას აწარმოებს თავის საქმიანობასა და აუდიტორული შემოწმების შედეგებზე მედია ორგანიზაციების, ვებგვერდებისა და სხვა საშუალებებით და დროულად ასაჯაროებს თავის ანგარიშებს.
- i. არსებული მექანიზმის შესაბამისად, პარლამენტი და საპარლამენტო კომიტეტები რეგულარულად განიხილავენ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ანგარიშებს, იღებენ გადაწყვეტილებებს მათ საფუძველზე და ახორციელებენ მათი შესრულების მონიტორინგს.

პრინციპი 32: საკუთარი კომპეტენციების განსახორციელებლად რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებები ფლობენ რესურსებს და ადეკვატურ ფისკალურ ავტონომიას ფინანსური ზედამხედველობის ქვეშ, რათა ხელი შეეწყოს პასუხისმგებლობიან ფინანსურ მართვას.

- a. ფინანსების განაწილება მთავრობის სხვადასხვა დონეზე დადგენილია კანონით, რაც უზრუნველყოფს შემოსავლებს სხვადასხვა წყაროებიდან და სესხის აღების უფლებას, არამდგრადი ვალის ტვირთის წარმოქმნის ფისკალურ რისკს შემცირების პირობების გათვალისწინებით.
- b. გამჭვირვალე და პროგნოზირებადი ფისკალური გათანაბრების მექანიზმი აბალანსებს რესურსებს რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის.
- c. ფინანსური ზედამხედველობის განხორციელება, საჯარო უწყებების ან გარე აუდიტორების მიერ, მიზნად ისახავს რეგიონული და ადგილობრივი მმართველობების ფინანსური მდგომარეობის შესწავლას, ფინანსების ეფექტურად გამოყენებაში მხარდაჭერას და ფინანსური დისბალანსის თავიდან აცილების ხელშეწყობას.
- d. რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების ფინანსურ რესურსები ნაწილობრივ გენერირდება ადგილობრივი გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან, რაზეც ისინი უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ განაკვეთი.
- e. რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებზე მიზნობრივ ასიგნებებს ფუნქციური კლასიფიკაცია აქვთ და შემოიფარგლება მხოლოდ იმ შემთხვევებით, როდესაც საჭიროა ეროვნული ან/და საერთაშორისო პოლიტიკის რეგიონული და ადგილობრივი განხორციელების სტიმულირება.
- f. რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების ფინანსური რესურსები მათი ამოცანებისა და პასუხისმგებლობების თანაზომიერია და უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობასა და ავტონომიას.



საჯარო მმართველობის პრინციპები

საჯარო მმართველობის პრინციპები სტანდარტების დეტალურ ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს იმ ღირებულებებითა და ქცევის წესებით, რომელთა მოლოდინიც, შესაძლოა, ჰქონდეს ფართო საზოგადოებასა და კერძო სექტორს თანამედროვე საჯარო მმართველობისგან. მათი შემუშავების მიზანია მიმართულება მისცეს ევროკავშირის (EU) გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო პარტნიორი ქვეყნების მმართველობებს, როგორც რეფორმების განხორციელების, ისე საჯარო მმართველობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისა და გაწვევრიანებისთვის „ფუნდამენტურად მნიშვნელოვან ერთ-ერთ საკითხზე“ ევროკავშირის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესრულების პროცესში.

ევროკომისიის (EC) მოთხოვნის საფუძველზე პრინციპები შეიმუშავა SIGMA-მ (ევროკავშირის (EU) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივა), რომელსაც ძირითადად ევროკავშირი აფინანსებს. პრინციპები ეყრდნობა ევროკავშირის არსებულ კანონთა კრებულს, OECD-ს სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საერთაშორისო სტანდარტებს, ისევე როგორც, ევროკავშირისა და OECD-ის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებს.

დამატებითი
ინფორმაცია



www.sigmaweb.org



www.sigmaweb.org/monitoring



www.par-portal.sigmaweb.org



www.linkedin.com/company/sigma-programme